

წლიური ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო 38 00

1. პრიორიტეტი - გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა 38 01

განმახორციელებელი - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
38 01	გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა	5 770.0	5 577.7	5 309.4	95.2%	
38 01 01	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (რეგულირება და მართვა)	5 370.0	5 402.8	5 181.8	95.9%	
38 01 02	ექსპერტიზის ჩატარების უზრუნველყოფის ღონისძიებები	50.0	50.0	28.6	57.2%	
38 01 03	გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები	200.0	124.9	99.0	79.3%	
38 01 04	ბიოლოგიური მრავალფეროვნების მონიტორინგის წარმოება	150.0	0.0	0.0		

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- შემუშავდა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ საბოლოო ვერსია, რომელიც მოწონებულ იქნა

- საქართველოს მთავრობის მიერ. კოდექსით გაფართოვდება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების მაღალი რისკების შემცველი საქმიანობების ჩამონათვალი;
- ევროკავშირის დახმარებით, ქართველი და ევროპელი ექსპერტების მიერ მომზადდა გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების გარემოსდაცვითი ნაწილის განხორციელების განახლებული საგზაო რუკა და განხორციელების 1 წლის ანგარიში. საგზაო რუკა წარმოადგენს ევროკავშირთან გარემოს დაცვის კუთხით ჰარმონიზაციის პროცესის მთავარ სახელმძღვანელო დოკუმენტს;
  - 2016 წლის 8-10 ივნისს ქ. ბათუმში ჩატარდა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) რეგიონის რიგით მე-8 გარემოსდაცვითი მინისტრიალი „გარემო ევროპისათვის“;
  - მომზადდა ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) გარემოსდაცვითი თავების განხორციელების 2017 წლის სამოქმედო გეგმა;
  - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო 2016 წლის 18 ოქტომბერს ბრიუსელში გამართულ გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების შესახებ აღმოსავლეთ პარტნიორობის პირველი მინისტრიალში, რომელზედაც მიიღეს მომდევნო ორი წლის მანძილზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისა და ევროკავშირის მიერ ერთობლივად განსახორციელებელი ქმედებების შესახებ დეკლარაცია. მინისტრები შეთანხმდნენ გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების მინისტრიალის ორ წელიწადში ერთხელ ჩატარებაზე;
  - გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) მხარდაჭერით 2016 წელს გამოიცა „გარემოსდაცვითი ეფექტიანობის შეფასების შესახებ მიმოხილვის“ (Environmental Performance Review) დოკუმენტი;
  - საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, მომზადდა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა „2010-2013 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება“;
  - შემუშავდა „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტისა და „გარემოსათვის მიყენებული ზიანის გამოთვლის მეთოდოლოგიის შესახებ“ კანონპროექტებზე აქტის პროექტის სამუშაო ვერსიები. ევროკავშირის დაფინანსებით შემუშავდა „გარემოს დაცვის მოქმედებათა შესახებ ეროვნული პროგრამის 2017-2021“ (NEAP-3) პროექტი;
  - საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია (2016-2030) და სამოქმედო გეგმა (2016-2020). ასევე, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა შემდეგი კანონპროექტებზე ნორმატიული აქტები: „ნარჩენების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ“, „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესის და პირობების შესახებ“, „სხვადასხვა სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ“ და „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“;
  - შემუშავდა სახიფათო ქიმიური ნივთიერებებით ან ქიმიური ნარევებით გამოწვეული მასშტაბური ავარიების პრევენციის შესახებ კოდექსის სამუშაო ვერსია. ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით იწყება Twinning-ის პროექტი სამრეწველო დაბინძურებისა და სამრეწველო საფრთხეების მიმართულებით;
  - შემუშავდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტები „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების შესახებ“ და „ზოგიერთი თხევადი საწვავის ხარისხობრივი ნორმების, ანალიზის მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“. სამაცივრო და ჰაერის კონდიციონერების ტექნიკოსთა სავალდებულო სერტიფიცირების სისტემის დანერგვის მიზნით ცვლილებები შევიდა „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში;
  - მომზადდა ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კანონის პროექტის სამუშაო ვერსია. წყლის ინტეგრირებული მართვის სისტემის დანერგვის მიზნით შემუშავდა წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონის პროექტის საბოლოო ვერსია, რომელსაც უტარდება რეგულირების ზემოქმედების შეფასება;
  - საზღვაო მმართველობის სფეროში ინტეგრირებული პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და

განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა საზღვაო მმართველობის საკითხთა კოორდინაციის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი;

- საქართველო შეუერთდა პარიზის შეთანხმებას. დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავების მიზნით ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობისა და ნარჩენების სექტორებისთვის მომზადებულია საბაზისო სცენარი და დადგენილია კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებები;
- ევროკავშირის სატყეო სექტორში კანონიერების დაცვისა და მმართველობის გაუმჯობესების პროგრამის მეორე ფაზის (ENPI FLEG II) ფარგლებში, მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარებით, მომზადდა ტყის კოდექსის პროექტის საბოლოო ვერსია. კანონპროექტის განსახილველად სულ ჩატარდა 28 სამუშაო შეხვედრა საქართველოს ყველა რეგიონში. შემუშავდა ტყის კოდექსის შესაბამისი ტყითარგებლობის, ტყის მოვლისა და აღდგენის, ტყის აღრიცხვისა და მონიტორინგის შესახებ კანონქვემდებარე აქტების პროექტების სამუშაო ვერსიები;
- შემუშავდა „ტყის მდგრადი მართვის ეროვნული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების“, „კონტროლირებადი მერქნული რესურსების რისკის შეფასების სტანდარტისა“ და „სამასალე და საშემე მერქნული რესურსების, ასევე არამერქნული რესურსების გამოყენების, წარმოებისა და რეალიზაციის ეკონომიკური ანალიზის“ დოკუმენტები. ევროკომისიის მიერ დამტკიცდა Twinning-ის პროექტი „ტყის მდგრადი მართვის გაძლიერება საქართველოში“. მიმდინარეობს კონტრაქტის გაფორმება ლიტვა-უნგრეთის კონსორციუმთან. შემუშავდა სატყეო მონიტორინგის სისტემის სატესტო ვერსია. ეროვნული სატყეო პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა თემატური საკითხების განხილვის მიზნით გაიმართა 80 სამუშაო შეხვედრა;
- CITES-ის დანართებში შეტანის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელდა შერჩეულ მცენარეთა სახეობების შეფასება და მომზადდა შეფასების ანგარიში. CITES-ის მხარეთა 17-ე შეხვედრაზე წარდგენილ იქნა ევროკავშირი-საქართველოს ერთობლივი შეთავაზება კავკასიური ჯიხვის კონვენციის მეორე დანართში შეტანის მიზნით. შეთავაზება მიღებულ იქნა კონსესუსის გზით;
- კლიმატის ცვლილების პარიზის შეთანხმების ვალდებულებების შესრულების მიზნით ინიცირებულ იქნა სამოქმედო გეგმის - „კლიმატი 2021-2030“ შემუშავება. დაიგეგმა კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებები ენერგეტიკის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ნარჩენების სექტორებისათვის;
- 2016 წლის განმავლობაში გაცემულია 67 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, მათ შორის 8 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა;
- აღინიშნა გარემოსდაცვითი დღეები: "დედამიწის საათი", ტყის საერთაშორისო დღე, მსოფლიო მეტეოროლოგიის დღე, დედამიწის დღე, გარემოს დაცვის მსოფლიო დღე, ხის დარგვის საერთაშორისო დღე, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე, „დღე ავტომობილის გარეშე“; 26 მაისის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო საერთო სახალხო ღონისძიებაში. ორგანიზებულ იქნა გამწვანების, დასუფთავების და სხვა სახის გარემოსდაცვითი აქციები; განხორციელდა კამპანია „ნუ მოჭრი, მორთე“;
- „გარემო ევროპისათვის" ბათუმის მე-8 გარემოსდაცვით მინისტრიალის ფარგლებში, ელექტრონული და ბეჭდური მედიის წარმომადგენლებისთვის გარემოსდაცვით თემებზე მედია-სემინარი გაიმართა. დამზადდა საინფორმაციო სარეკლამო ვიდეო-რგოლი და დოკუმენტური ფილმი - „გარემო ევროპისათვის“ - მინისტრთა მე-8 კონფერენცია;
- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გადაეცა ჯილდო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100 %-იანი მაჩვენებლისთვის;

**დაგეგმილი საბოლოო შედეგები**

- სახელმწიფოს ერთიან ხედვასა და სტრატეგიასთან შესაბამისობაში გარემოს დაცვის სფეროში განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკა;
- კანონმდებლობის რეგულაციის ქვეშ მოქცეული ყველა ის საქმიანობა, რომელიც ზემოქმედებას ახდენს გარემოზე;

- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვით საკითხებზე, გარემოსდაცვით აქტივობებში საზოგადოების ჩართულობა;
- ცხოველთა, მათ შორის საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების საწყისი მონაცემების განახლებული ბაზა;
- საქართველოს ფლორისა და ფაუნის სახეობათა გავრცელების არეალის მდგომარეობის შეფასება და შესაბამისი საკონსერვაციო/აღდგენის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები;

**მიღწეული საბოლოო შედეგები**

- გარემოს დაცვის სფეროში განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკა შეესაბამება სახელმწიფოს ერთიან ხედვას, სამთავრობო პროგრამას და საქართველოს „სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020“-ს;
- კანონმდებლობის რეგულაციის ქვეშ მოქცეულია ის საქმიანობები, რომელიც ზემოქმედებას ახდენს გარემოზე;
- საზოგადოების ცნობიერება ამაღლებულია გარემოსდაცვით საკითხებზე, გარემოსდაცვით აქტივობებში გაზრდილია საზოგადოების ჩართულობა;

**დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი**

**1. საბაზისო მაჩვენებელი**

დღეისათვის არსებული საკანონმდებლო ბაზა გარემოსდაცვით სფეროში სრულად ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

მიზნობრივი მაჩვენებელი

მიღებულია საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები გარემოსდაცვით სფეროში, ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული რეგულაციების დებულებები ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში;

**2. საბაზისო მაჩვენებელი**

ყოველწლიურად საშუალოდ გაიცემა 50-მდე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა; არსებული რეალობის გათვალისწინებით საჭიროა გაიზარდოს საქმიანობების ჩამონათვალი, რომელიც დაექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას;

მიზნობრივი მაჩვენებელი

არსებულ კანონმდებლობაში ცვლილების შემდგომ, ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალის ზრდის პარალელურად, გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვების რაოდენობის ზრდა 50-70%-ით; გარემოზე მავნე ზემოქმედების დაყვანა გაცემული ნებართვით დასაშვებ მინიმუმამდე;

**3. საბაზისო მაჩვენებელი**

გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ეწყობა სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიები გარემოსდაცვითი თარიღების მიხედვით;

მიზნობრივი მაჩვენებელი

აღინიშნება წლის ყველა გარემოსდაცვითი თარიღი და ეწყობა საინფორმაციო კამპანიები (საშუალოდ 35 ღონისძიება); გარემოს დაცვის სამინისტროს საქმიანობაზე და გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ინფორმირების მიზნით მუდმივად ხდება ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის განახლება;

**4. საბაზისო მაჩვენებელი**

ყოველწლიურად განახლებადი მონაცემთა ბაზა, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი წინასწარ შერჩეული სახეობების მდგომარეობის შესახებ;

მიზნობრივი მაჩვენებელი

ინფორმაცია ყოველწლიურად საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სულ მცირე 5 შერჩეული სახეობის რიცხოვნობის და მდგომარეობის შესახებ;

**მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი**

1. გარემოს დაცვის სფეროში მიღებულია 12 საკანონმდებლო ცვლილება და 12 კანონქვემდებარე აქტი, ასევე შემუშავებულია საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების პროექტები, რომელთა მეშვეობითაც ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივები ასახულია/აისახება ეროვნულ კანონმდებლობაში;
2. 2016 წლის განმავლობაში გაცემულია 67 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, მათ შორის 8 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა;
3. აღინიშნა წლის ყველა გარემოსდაცვითი თარიღი და მოეწყო საინფორმაციო კამპანიები (სულ 35-ზე მეტი ღონისძიება). გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ინფორმირების მიზნით მუდმივად ხდებოდა ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის განახლება;

**ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**

1. ვინაიდან არ მიღებულა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, არ გაზრდილა ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალი და შესაბამისად არ გაზრდილა გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვების რაოდენობა;
2. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის კუთხით ღონისძიებები სამინისტროს აპარატისთვის გათვალისწინებული ასიგნებებით არ განხორციელებულა და დაგეგმილი საბოლოო შედეგი ვერ იქნა მიღწეული. 2016 წლის 3 ივნისს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, „ბიოლოგიური მრავალფეროვნების მონიტორინგის წარმოების“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ასიგნებები შემცირდა 46 200 ლარით და მიმართულ იქნა ბათუმის „გარემო ევროპისთვის“ მე-8 მინისტერიალის წარმატებულად ჩატარების საჭიროებებისთვის. ხოლო 2016 წლის 12 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, დარჩენილი დაფინანსება 103 800 ლარი მიმართულ იქნა სსიპ - ეროვნული საშენი მეურნეობის მიერ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაცული ცხოველების პოპულაციების აღდგენის ღონისძიებების ჩატარებაზე.

**1.2 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - გარემოსდაცვითი ზედამხედველობა (38 02) განმახორციელებელი - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი**

*ათასი ლარი*

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
38 02	გარემოსდაცვითი ზედამხედველობა	11 179.0	11 108.6	10 899,0	98.1%	

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- 2016 წელს დეპარტამენტის მიერ ხორციელდებოდა რეგულირების ობიექტების (ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მფლობელი სუბიექტების, გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტებს დაქვემდებარებული საწარმოების) ინსპექტირება და გარემოსდაცვითი პარტრულირება.
- სულ 2016 წელს განხორციელდა რეგულირების ობიექტების (ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მფლობელი სუბიექტების, გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტებს დაქვემდებარებული საწარმოების) 3 206 ინსპექტირება (გეგმიური, არაგეგმიური შემოწმება, დათვალიერება-შესწავლა). მათ შორის:
  - ✓ 201 რეგულირების ობიექტის საქმიანობის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მიერ დამტკიცებული რეგულირების ობიექტების 2016 წლის შემოწმებათა გეგმის შესაბამისად;
  - ✓ საქართველოს ნავსადგურებში შემოსული 274 გემის ინსპექტირება ნარჩენების აღრიცხვის, შეფასების, უტილიზაციისა და სხვა გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვის მიზნით;
  - ✓ 106 რეგულირების ობიექტის რეგულირების ობიექტის არაგეგმიური შემოწმება მოქალაქეთა საჩივრების, დეპარტამენტის „ცხელ ხაზზე“ შემოსული ინფორმაციების, ასევე წინა შემოწმების საფუძველზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გადამოწმების მიზნით. მათგან, 62 - არაგეგმიური შემოწმება განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებში დათესილი ან/და სასაწყობო მეურნეობებში ნიმუშების აღების მიზნით, მათში ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სახეობების იდენტიფიცირებისთვის.
  - ✓ სულ ინსპექტირებისა და პარტრულირების შედეგად, გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 10 216 ფაქტი, მათ შორის: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის - 9 846 ფაქტი, სისხლის სამართლის - 370 ფაქტი, რომელიც შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა საგამომიებო ორგანოებს.
- მიმდინარე მონაცემებით, სამართალდამრღვევებზე დაკისრებულმა ჯარიმამ შეადგინა 3 977 580 ლარი; გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად, გარემოსთვის მიყენებული ზიანის დაანგარიშებულმა ოდენობამ შეადგინა 6 549 151,4 ლარი.
- საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის „ცხელ ხაზზე“ 9 310 ზარი შემოვიდა, მათ შორის, 6 557 ზარი - ინფორმაციული ხასიათის, რომელზეც გაეწიათ შესაბამისი კონსულტაცია და 2 753 შეტყობინება - გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე, რაზედაც დეპარტამენტის მიერ ხორციელდება რეაგირება.
- მრგვალი ხე-ტყის გადამამუშავებელი საამქროების ელექტრონულ ჟურნალში ტესტურ რეჟიმში ამოქმედდა „პროდუქტის“ და „ნარჩენის“ მოდულები, რომლის მეშვეობით, ონლაინ რეჟიმში (ვებ-პორტალი emoe.gov.ge) განხორციელდება გადამამუშავებული მრგვალი ხე-ტყის (მორის) გადამამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტისა და ნარჩენის აღრიცხვისა და გატანის პროცესები. ამასთან დაკავშირებით, სახერხი საამქროების მფლობელთათვის, დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის საქართველოს ყველა რეგიონში გაიმართა შეხვედრები და სასწავლო სემინარები (ნოემბერი-დეკემბერი, 2016 წ.).
- განხორციელდა ქ. თბილისში არსებული ავტოგასამართი სადგურების რეზერვუარებიდან ნავთობპროდუქტების სათანადო სინჯების აღება/შემოწმება შერჩევითი წესით. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბენზინისა და დიზელის ყველა ნიმუშში გოგირდისა და ტყვიის შემცველობა, ასევე ოქტანური და ცეტანური რიცხვების მაჩვენებლები აკმაყოფილებდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს (მაისი, ივნისი, 2016 წ.).
- 2016 წელს გარემოსდაცვით ინსპექტორ-თანამშრომლებს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩაუტარდა ტრენინგები სხვადასხვა თემებზე: სატყეო და ბიომრავალფეროვნების მიმართულებით, მერქნული რესურსების ელექტრონული მართვის სისტემის საკითხებზე, გარემოსდაცვითი კონტროლისა და სატყეო სექტორის პოლიტიკის, მართვისა და ზედამხედველობის საკითხებზე, ნარჩენების კლასიფიკაციის საკითხებზე, დიდი ავარიების პრევენციისათვის ლაბორატორიული სინჯების აღებაზე, სასწავლო კურსი ცეცხლსასროლი იარაღის, ფიზიკური იძულებისა და სპეციალური

საშუალებების გამოყენებაში, მცურავი საშუალების დამოუკიდებლად მართვის სასწავლო კურსი. სულ გადამზადდა 160 თანამშრომელი.

- განხორციელდა სწრაფი რეაგირების მობილური ჯგუფებისა და ინსპექტორთა აღჭურვა, მათ შორის შექმნილ იქნა: 14 ერთეული მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტოსატრანსპორტი; 3 ერთეული კატერი და 6 ერთეული ნავი; ღამის ხედვის თერმული დურბინები, ხმაურის საზომი ხელსაწყოები, მაგნიტური ველის ენერჯის ნაკადის საზომი ხელსაწყოები, GNSS ქსელური მიმღებები GPS/GNSS სავლე კონტროლერით; საზომი ხელსაწყოები ბიომრავალფეროვნების კონტროლის სამსახურისთვის; სხვადასხვა დასახელების ლაბორატორიული სახარჯი მასალები გარემოს ინტეგრირებული კონტროლის სამსახურისთვის.
- განხორციელდა არსებული გამოზომი ხელსაწყოების დაკალიბრება-დამოწმების პროცედურები; ავტოსატრანსპორტო საშუალებებში დამონტაჟდა ვიდეორეგისტრატორები და ვიდეორეგისტრატორების ჩანაწერების შენახვის მიზნით განხორციელდა არსებული სასერვერო ინფრასტრუქტურის გაძლიერება; შექმნილ იქნა მეხსიერების ე.წ. „სტორიჯის“ სასერვერო სისტემები.
- დასრულდა და კეთილმოეწყო გორსა და ოზურგეთში გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების განყოფილებების საოფისე შენობები, გარემონტდა სასაწყობე და ნივთმტკიცების შესანახი ფართები.
- ქალაქებში - ამბროლაური, ბათუმი და ახალციხე, დაიწყო და მიმდინარეობს ახალი ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები.

### **დაგეგმილი საბოლოო შედეგები**

- გაუმჯობესებული გარემოს დაცვის ხარისხი;
- შექმნილი კანონდარღვევათა შემაკავებელი გარემო, უზრუნველყოფილი გამოვლენილ კანონდარღვევებზე დროული და პროპორციული რეაგირება, რისი საშუალებითაც მოხდება ლეგალური საქმიანობის ხელშეწყობა და კონკურენციის თანაბარი პირობების შექმნა;
- რეგულირების ობიექტების და მოქალაქეების გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებზე ინფორმირებულობის მაღალი დონე და დაინტერესებული მხარეების ფინანსური, მატერიალური და დროითი რესურსების შემცირებული ხარჯი;
- შექმნილი ახალი ინფრასტრუქტურა, სათანადოდ აღჭურვილი სწრაფი რეაგირების ჯგუფები.

### **მიღწეული საბოლოო შედეგები**

- შემცირებული გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის ფაქტები;
- სხვადასხვა სპეციფიკური მიმართულებებით გადამზადებული თანამშრომლები. გამოვლენილ კანონდარღვევებზე დროული და პროპორციული რეაგირება;
- რეგულირების ობიექტების გეგმიური და არაგეგმიური შემოწმება. 24-საათიან რეჟიმში განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები. „ცხელ ხაზზე“ შემოსულ შეტყობინებებზე ოპერატიული რეაგირება. ელექტრონული სერვისების გაუმჯობესება.
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გამართული და სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. დასრულებული ორი ახალი რეგიონალური ოფისი და აღჭურვილი სწრაფი რეაგირების ეკიპაჟები.

### **დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი**

#### **1. საბაზისო მაჩვენებელი**

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევით ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობით გარემოსთვის მიყენებული ზიანის სავარაუდო მაჩვენებლები 2015 წლისათვის შეადგენს 100 მილიონ ლარს;

#### **მიზნობრივი მაჩვენებელი**

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევით ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობით გარემოსთვის მიყენებული ზიანის სავარაუდო მაჩვენებლები 2016 წელს შემცირებულია 30,0 მლნ

ლარამდე და ყოველწლიურად 15-20% მცირდება;

## 2. საბაზისო მაჩვენებელი

2015 წლის ბოლოსთვის დამტკიცებული რეგულირების ობიექტების შემოწმება გეგმის შესაბამისად, შემოწმებულია რეგულირების 180 ობიექტი; სრულად ინსპექტირებულია (მ.შ გეგმიური, არაგეგმიური შემოწმებები და დათვალიერება) 1 900-ზე მეტი ობიექტი;

მიზნობრივი მაჩვენებელი

დამტკიცებული რეგულირების ობიექტების შემოწმება 2016 წლის გეგმის შესაბამისად, გეგმიურად შემოწმებული რეგულირების ობიექტების რაოდენობა გაზრდილია 10%-ით; ინსპექტირებული (მ.შ გეგმიური, არაგეგმიური შემოწმებები და დათვალიერება) ობიექტების რაოდენობა 2016 წელს 2 500 მიაღწევს და ყოველწლიურად 5-10%-ით გაიზრდება;

## 3. საბაზისო მაჩვენებელი

სამართალდამრღვევი ობიექტების 65-70% დადგენილ გონივრულ ვადებში ასრულებს გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით განსაზღვრულ ვალდებულებს;

მიზნობრივი მაჩვენებელი

საბაზო მაჩვენებელთან შედარებით ყოველწლიურად 5-10%-ით იზრდება იმ სამართალდამრღვევი ობიექტების რაოდენობა, რომელთაც შეასრულეს გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით განსაზღვრული ვალდებულები;

## 4. საბაზისო მაჩვენებელი

დღეის მდგომარეობით 8 საოფისე შენობა (თბილისი, მცხეთა, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი, თელავი, გორი, ოზურგეთი) და სწრაფი რეაგირების 34 არასრულად აღჭურვილი ეკიპაჟი;

მიზნობრივი მაჩვენებელი

2016 წლისთვის აშენებული 4 ახალი საოფისე შენობა (სამცხე-ჯავახეთის, რაჭის, სამეგრელოსა და აჭარის რეგიონში) და სრულად აღჭურვილი სწრაფი რეაგირების 34 ეკიპაჟი, მომდევნო წლებში ყოველ სამსახურს ემატება თითო სრულად აღჭურვილი სწრაფი რეაგირების ეკიპაჟი;

## 5. საბაზისო მაჩვენებელი

ინსპექტირებისა და სწრაფი რეაგირების სამსახურის გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა არ აღემატება სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობის 10%-ს (36 ერთეული); ამ ეტაპზე დეპარტამენტს გააჩნია მხოლოდ ერთი ერთეული მცურავი საშუალება - კატარდა, შესაბამისად, დეპარტამენტს არ ჰქონდა თანამშრომლების აღნიშნული მიმართულებით გადამზადების საჭიროება;

მიზნობრივი მაჩვენებელი

2016 წლისთვის გადამზადებულია ინსპექტირებისა და სწრაფი რეაგირების სამსახურის 250 თანამშრომელი, რომელთაც გავლილი აქვთ სწავლება მცურავი საშუალებების სწორი და უსაფრთხო წესით გამოყენების მიზნით; გადამზადებულ თანამშრომელთა რიცხვი ყოველწლიურად 20-25%-ით იზრდება;

## მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

- 2016 წლისთვის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევით, ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობით გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 6 549 151 ლარი;
- 2016 წლის განმავლობაში განხორციელდა 201 რეგულირების ობიექტის (12%-ით მეტი, ვიდრე 2015 წელს) გეგმიური შემოწმება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მიერ დამტკიცებული რეგულირების ობიექტების 2016 წლის შემოწმებათა გეგმის შესაბამისად. ინსპექტირებული (მ.შ გეგმიური, არაგეგმიური შემოწმებები და დათვალიერება) ობიექტების რაოდენობამ 2016 წელს შეადგინა 3 206 (გაიზარდა 68%-ით 2015 წელთან შედარებით);
- სამართალდამრღვევი ობიექტების 70%-ის მიერ დადგენილ გონივრულ ვადებში შესრულდა



- გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით განსაზღვრულ ვალდებულები.
- დაწყებულია 3 ახალი საოფისე შენობის სამშენებლო სამუშაოები (ქ. ახალციხე, ქ. ბათუმი და ქ. ამბროლაური). აღიჭურვა სწრაფი რეაგირების 34 ეკიპაჟი.
  - გადამზადდა 100-მდე თანამშრომელი მცურავი საშუალებების სწორი და უსაფრთხო წესით გამოყენების კუთხით. მრავალი ხე-ტყის გადამამუშავებელი საამქროების (სახერხი საამქროების) ელექტრონულ სისტემის დანერგვასა და ახალი საკანონმდებლო რეგულაციებთან დაკავშირებით, შესაბამისი ტრენინგები ჩაუტარდა დეპარტამენტის რეგიონული სამმართველოების 200-მდე თანამშრომელს.

**ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**

- საანგარიშო პერიოდში ვერ განხორციელდა დაგეგმილი 4 ახალი საოფისე შენობის (სამცხე-ჯავახეთის, რაჭის, სამეგრელოსა და აჭარის რეგიონში) მშენებლობა, გამოვლინდა მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის განმეორებითი ექსპერტიზის, ზოგ შემთხვევაში - განმეორებითი ტენდერის ჩატარების საჭიროება. შემსრულებლებთან დაიდო 2-წლიანი ხელშეკრულებები (2016-2017 წ.წ.), მშენებლობების დასრულება გათვალისწინებულია 2017 წლისათვის.
- 2016 წლისთვის როგორც დაგეგმილი იყო, ვერ გადამზადდა ინსპექტირებისა და სწრაფი რეაგირების სამსახურის 250 თანამშრომელი, კადრების გადამზადების პროცესი შეფერხდა დეპარტამენტში 2016 წელს განხორციელებული რეორგანიზაციისა და კადრების კონკურსის წესით შერჩევის პროცედურების გამო. სწავლებები გაგრძელდება 2017 წელს.

**1.3 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (38 03)**

**განმახორციელებელი - სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო**

*ათასი ლარი*

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
38 03	დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	11 900	11 739.1	10 082.2	85.9 %	2 690.6
38 03 01	სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო (რეგულირება და მართვა)	4 050.0	4 050.0	4 075.7	100.6 %	2 690.6

38 03 02	დაცული ტერიტორიების დაცვა და რესურსების მართვა	200.0	50.0	27.0	54.1 %	
38 03 03	ეკოტურიზმის განვითარება, საზოგადოებასთან კავშირი, ეკოგანათლება და ვიზიტორთა მომსახურება	200.0	109.2	104.1	95.3 %	
38 03 04	გოჭკადილის კანიონის ბუნების ძეგლის ინფრასტრუქტურის განვითარება	450.0	530.0	530.0	100 %	
38 03 05	დაცული ტერიტორიების განვითარება (CNF)	1 323.0	1 323.0	1 091.5	82.5 %	
38 03 06	დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში - საქართველოს (ეკორეგიონალური პროგრამა საქართველო, (KFW))	5 677.0	5 677.0	3 899.1	68.7 %	

**საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა**

- შეიქმნა და ფუნქციონირებს 2 ახალი დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია: ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია და მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია;
- განახლდა კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრი (კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდის სახრებით) და ვიზიტორთა ცენტრი ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე. ოკაცეს კანიონისა და მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლებზე მოეწყო ინფრასტრუქტურა. აშენდა მარტვილის კანიონის ვიზიტორთა ცენტრი. ყოველივე ამის შედეგად გაუმჯობესდა ვიზიტორთა მომსახურების ხარისხი. მედიის წარმომადგენლებისთვის მოეწყო ინფო-ტური მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლზე. 12 დაცული ტერიტორიისთვის დამზადდა 565 ერთეული საინფორმაციო, საინტერპრეტაციო და მიმართულების მანიშნებელი დაფები.
- კოლხეთის, მაჭახელას და მტირალას ეროვნულ პარკებში, კინტრიშის დაცულ ტერიტორიასა და სათაფლიას აღკვეთილის ტერიტორიაზე ჩატარდა კოლხური ბზის შეწამვლის სამუშაოები. შეძენილ იქნა ფერომონები 3 სახეობის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის განსახორციელებლად და ისინი განთავსდა ყაზბეგისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკების ტერიტორიებზე;
- სარეკლამო საშუალებების, მათ შორის ბეჭდვითი, მედიის და სოციალური ქსელების მეშვეობით ხორციელდებოდა ეკოტურიზმის პოპულარიზაცია დაცულ ტერიტორიებზე, 2015 წელთან შედარებით 2016 წელს გაიზარდა ვიზიტორთა რაოდენობა 42 %-ით და შეადგინა დაახლოებით 734 874 ვიზიტორი;

- შესყიდულ იქნა ავეჯი და ტექნიკური აღჭურვილობა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებისთვის; შეძენილ იქნა ავტომანქანები - ვაშლოვანის, თუშეთის, ლაგოდეხისა და ჯავახეთის ადმინისტრაციებისათვის; ჯავახეთის ეროვნულ პარკში აშენდა კოტეჯი; ლაგოდეხისა და მტირალას დაცულ ტერიტორიაზე დაიწყო და მიმდინარეობდა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-მოწყობა; განხორციელდა ჰიგიენური კვანძების სამშენებლო სამუშაოები ვაშლოვანის ეროვნულ პარკში; მოეწყო სანათები პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლის სანაოსნო მონაკვეთში; განხორციელდა თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციული შენობის სახურავის რეაბილიტაცია; მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა;
- დაიწყო სამოვრების მდგომარეობის შეფასება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში. განხორციელდა ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე სამოვრების ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასება (USAID-ის და ევროკავშირის პროექტების დაფინანსების ფარგლებში);
- მომზადდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ანგარიშის სამუშაო ვერსია; ჩატარდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების მონაცემების საბაზისო კვლევა ინდიკატორების შესარჩევად;
- მომზადდა ტურიზმის სტრატეგიის სამუშაო ვერსიები ჯავახეთისა და ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიებისათვის; ჩატარდა ბორჯომ-ხარაგაულის, ლაგოდეხისა და ჯავახეთის დაცული ტერიტორიების 2015 წლის საგრანტო პროექტების ფინანსური აუდიტი; მომზადდა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებისათვის ახალი საგრანტო დაფინანსების მისაღებად განაცხადი 2017-2019წწ;
- განხორციელდა ალგეთის, კინტრიშის, ყაზბეგის და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების საბაზისო კვლევები და კინტრიშის და ალგეთის დაცული ტერიტორიების საზღვრების დემარკაცია. დაიწყო ალგეთის, კინტრიშის, ყაზბეგის და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ტურიზმის სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების შემუშავება; მოეწყო ტრენინგები და გაცნობითი ვიზიტები ამ დაცული ტერიტორიების რეგიონულ მრჩეველთა საბჭოებისათვის და ჩატარდა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები; განხორციელდა სოციალურ-ეკონომიკური პროექტები ალგეთის, კინტრიშის, ყაზბეგისა და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების მახლობლად მცხოვრები მოსახლეობისათვის (ხიდების შეკეთება, სასტუმრო სახლების მოწყობა, ტრადიციული ხელსაქმის განვითარება);

**დაგეგმილი საბოლოო შედეგები**

- დაცული და აღდგენილი ბუნებრივი ეკოსისტემები, ლანდშაფტები და ცოცხალი ორგანიზმები;
- დაცული საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველები და ველურ მცენარეთა გენოფონდი, უნიკალური და იშვიათი ორგანული თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნები;
- ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვის და ტურიზმისათვის შექმნილი ხელსაყრელი პირობები;
- განვითარებული ეკოტურიზმი და დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობა;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი ინფრასტრუქტურა;
- აღდგენილი და განვითარებული ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა, ადგილობრივი მოსახლეობის გაზრდილი შემოსავლები და გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

**მიღწეული საბოლოო შედეგები**

- დაცულია და შესაბამისად მიმდინარეობს ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების და ცოცხალი ორგანიზმების აღდგენა;
- დაცულია და შესაბამისად გაიზარდა საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველებისა და ველურ მცენარეთა გენოფონდი, უნიკალური და იშვიათი ორგანული თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნები;
- გაუმჯობესდა დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურა, რითიც შეიქმნა ხელსაყრელი პირობები

- ტურიზმისთვის;
- განვითარდა ეკოტურიზმი და დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 42%-ით;
- რიგ დაცულ ტერიტორიაზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოეწყო ინფრასტრუქტურა;
- სამიზნე დაცული ტერიტორიების მიმდებარე სოფლებში კონკურსების შედეგად შერჩეულია, დაფინანსებულია და განხორციელებულია სხვადასხვა სოციალური პროექტები. აღნიშნული პროექტები მიმდინარეობს 2014 წლიდან, გეგმის მიხედვით.

## **დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი**

### **1. საბაზისო მაჩვენებელი**

არსებობს 18 ტერიტორიული ადმინისტრაცია, დებულებით გათვალისწინებულია სულ 20 ტერიტორიული ადმინისტრაციის ფუნქციონირება. დაწყებულია გოჭყადილის ბუნების ძეგლის ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები;

მიზნობრივი მაჩვენებელი

2016 წელს შექმნილი და სრულყოფილად ფუნქციონირებადი ახალი ტერიტორიული ადმინისტრაცია - ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიებისა და სამეგრელოს ბუნების ძეგლების კომპლექსის და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია, მოწყობილია ინფრასტრუქტურა და მზადაა ვიზიტორების მისაღებად;

### **2. საბაზისო მაჩვენებელი**

დაცული ტერიტორიების სააგენტო მართავს 364,0 ათას ჰექტარზე მეტ ტერიტორიას 18 ტერიტორიული ადმინისტრაციის მეშვეობით, რომელთა დაცვასაც ძირითადად ახორციელებენ რეინჯერები. დაცვის ფუნქციის მატარებელი 306 თანამშრომლიდან მხოლოდ 126 თანამშრომელს აქვს ცეცხლსასროლი იარაღი, რის გამოც მათი უსაფრთხოების რისკის ფაქტორი მაღალია;

მიზნობრივი მაჩვენებელი

დაცული ტერიტორიების დაცვა ხორციელდება შეუფერხებლად, პატრულირების ინტენსივობა გაზრდილია ყოველწლიურად 10%-ით (პატრულირების სიხშირე, მეტი ტერიტორიის მოცვა), საშუალოვადიან პერიოდში სათანადოდ (ცეცხლსასროლი იარაღით) აღჭურვილია დაცვის ფუნქციის მატარებელი ყველა თანამშრომელი;

### **3. საბაზისო მაჩვენებელი**

ლაგოდეხისა და ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის ალპურ სამოვრებზე და ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სამოვრების სარგებლობისათვის არ ხდება შესაბამისი თანხის გადახდა, ვინაიდან არ არსებობს სამოვრების მართვის გეგმა და შეფასებული არ არის სამოვრის იჯარით გაცემისათვის შესაბამისი თანხა;

მიზნობრივი მაჩვენებელი

დაცულ ტერიტორიებზე არსებული სამოვრების შეფასებული ხარისხობრივი მაჩვენებლები და მათი გამოყენების მიზნით გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულება 85-მდე ფერმერთან 32,0 ათ. ჰა ტერიტორიაზე;

### **4. საბაზისო მაჩვენებელი**

დაცულ ტერიტორიებზე 2008 წლიდან ხდება სახანძრო აღჭურვილობის ყოველწლიური შესყიდვა, დღეის მდგომარეობით აღჭურვილია 8 ტერიტორიული ადმინისტრაცია. საშუალოვადიან პერიოდში საჭიროა აღჭურვოს დამატებით 6 ადმინისტრაცია;

მიზნობრივი მაჩვენებელი

ხანძრებთან ბრძოლის ეფექტურობისათვის შექმნილია შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა დაცული ტერიტორიების 3 ადმინისტრაციისთვის; ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად გაჩენილი ხანძრების რაოდენობა მცირდება 15-20 %-ით;

## 5. საბაზისო მაჩვენებელი

დღეს არსებული მდგომარეობით დაცული ტერიტორიების ცნობადობა დაბალია, არ არის საკმარისი ის ინფორმაცია, რაც მიეწოდება საზოგადოებას; მოსახლეობის ჩართულობა (განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის) გარემოსდაცვით აქტივობებში არ არის საკმარისი; სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად, არსებულ ზოგიერთ ვიზიტორთა ცენტრში არ არის მოწყობილი ვიზიტორთა საექსპოზიციო დარბაზი რიგ დაცულ ტერიტორიაზე არსებულ ვიზიტორთა ცენტრებში საგამოფენო დარბაზები მომველებულია და საჭიროებს განახლებას;

### მიზნობრივი მაჩვენებელი

განხორციელებული ღონისძიებების შედეგად (რეკლამების დამზადება და განთავსება, ტურების მოწყობა და ვებ-რესურსის განახლება/შექმნა) პოტენციურ და რეალურ ვიზიტორთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება 20%-ით; მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია საპრომოციო მასალა, გაზრდილია ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა გარემოსდაცვით აქტივობებში; საშუალოვადიან პერიოდში გახსნილია 4 ახალი ვიზიტორთა ცენტრი, ხოლო არსებული ცენტრები განახლებულია (მოწყობილია საინფორმაციო და საგამოფენო დარბაზები), შედეგად გაუმჯობესებულია ვიზიტორთა მომსახურების ხარისხი;

## 6. საბაზისო მაჩვენებელი

ღონისძიებების დაფინანსებით (KFW, CNF) დაცული ტერიტორიების 12 ადმინისტრაციას აქვს კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა; მათ შორის 9 ადმინისტრაციის 240-მდე თანამშრომელი მათი სოციალური გარანტიებით; ალგეთის, კინტრიშის, ყაზბეგისა და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების მახლობლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა შესწავლილია;

### მიზნობრივი მაჩვენებელი

დაცული ტერიტორიების 12 ადმინისტრაციას აქვს კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა, გრძელდება თანამშრომელთა სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფა; ხორციელდება სოციალურ-ეკონომიკური პროექტები ალგეთის, კინტრიშის, ყაზბეგისა და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების მახლობლად მცხოვრები მოსახლეობისათვის (ხიდების შეკეთება, სასტუმრო სახლების მოწყობა, ტრადიციული ხელსაქმის განვითარება);

## მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. 2016 წელს შექმნილია და ფუნქციონირებს 2 ახალი ტერიტორიული ადმინისტრაცია: ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიებისა და მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია. ოკაცეს კანიონისა და მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლებზე მოწყობილია ინფრასტრუქტურა და მზადაა ვიზიტორების მისაღებად;
2. დაცული ტერიტორიების დაცვა განხორციელდა შეუფერხებლად, პატრულირების ინტენსივობა გაზრდილია 10%-ით;
3. განხორციელდა ლაგოდეხისა და ვაშლივანის დაცულ ტერიტორიებზე სამოვრების ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასება;
4. ვიზიტორთა რაოდენობა გაიზარდა 42%-ით და შეადგინა დაახლოებით 734 874 ვიზიტორი; მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია საინფორმაციო მასალა, გაზრდილია ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა გარემოსდაცვით აქტივობებში. სხვადასხვა დაცულ ტერიტორიაზე კეთილმოწყობილია ინფრასტრუქტურა. შედეგად, გაუმჯობესდა ვიზიტორთა მომსახურების ხარისხი;
5. კეთილმოწყობილია 12 დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურა, გრძელდება 9 ადმინისტრაციის თანამშრომელთა სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფა. განხორციელდა სოციალურ-ეკონომიკური პროექტები ალგეთის, კინტრიშის, ყაზბეგისა და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების მახლობლად მცხოვრები მოსახლეობისათვის (ხიდების შეკეთება, სასტუმრო სახლების მოწყობა, ტრადიციული ხელსაქმის განვითარება);

**ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**

- არ განხორციელებულა ცეცხლსასროლი იარაღების შესყიდვა და შესაბამისად დამატებითი რეიჯნერების აღჭურვა, ვინაიდან შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შედგა შეთანხმება 120 ერთეული იარაღის გადმოცემის თაობაზე უსასყიდლოდ, რაც განხორციელდა 2017 წლის იანვარში;
- გაჭიანურდა საძოვრების შეფასების პროცედურა, რის გამოც მათი იჯარით სარგებლობაში გაცემა გადაიდო 2017 წლისთვის;
- ვერ განხორციელდა ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის შესყიდვა არასაკმარისი დაფინანსების გამო;
- ალგეთის, ყაზბეგის და ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა არ განხორციელებულა, ვინაიდან გაჭიანურდა შესაბამისი საპროექტო სამუშაოები და ამ პროექტების შეთანხმება დონორ მხარესთან.

**1.4 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (38 04) განმახორციელებელი - სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო**

*ათასი ლარი*

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
38 04	სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	11 050,0	8 625,3	8 459,5	98.1%	8 885,0
38 04 01	სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო	8 720,0	6 851,6	6 713,6	98.0%	8 175,1
38 04 02	ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებები	800,0	734,6	714,5	97.3%	140,7
38 04 03	ტყითსარგებლობის ღონისძიებები	900,0	172,2	172,2	100.0%	569,2
38 04 04	ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის ღონისძიებები	500,0	492,7	485,1	98.5%	0,0

38 04 05	ხანძარსაწინააღმდეგ ო ღონისძიებები	130,0	374,3	374,2	100.0%	0,0
----------	--------------------------------------	-------	-------	-------	--------	-----

**საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა**

- მომზადდა და ცვლილებები შევიდა:
  - „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში;
    - „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილებაში;
  - „ტყის მოვლისა და აღდგენის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს N241 დადგენილებაში;
  - „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილებაში;
  - „ტყის აღრიცხვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 ივლისის №179 დადგენილებაში;
  - „მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 30 აპრილის №118 ბრძანებაში;
- მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები:
  - „ტყის ფონდის მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში;
  - საქართველოს ტყის კოდექსში;
  - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში;
  - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში;
  - „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში;
- მიმდინარეობდა მუშაობა მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის სრულყოფა-განვითარებისათვის;
- ტყის მოვლა-აღდგენის მიმართულებით გრძელდებოდა მავნებელთან ბრძოლის ღონისძიებები სამცხე-ჯავახეთში;
- ბზის კორომების გადარჩენისა და შენარჩუნების მიზნით განხორციელდა შეწამვის სამი ეტაპი მავნებლის „ბზის ალურას“ განადგურების მიზნით გურიის, იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში; განხორციელდა ტყის დროებითი სანერგეების მოწყობისა და მოვლის სამუშაოები. მომზადდა ტყის აღდგენის 12 პროექტი საქართველოს 6 სხვადასხვა რეგიონში: გურიაში, იმერეთში, მცხეთა-მთიანეთში, კახეთში, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში.
- განხორციელდა სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობა/რეაბილიტაცია 55,7 კმ-ზე (მოეწყო - 7,9 კმ, ხოლო რეაბილიტაცია ჩაუტარდა - 47,8 კმ). შეძენილ იქნა 1 ერთეული სპეციალური მძიმე ტექნიკა-ბულდოზერი სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობა-რეაბილიტაციისთვის.
- 2016 წელს ხე-ტყის დამზადების ღონისძიებები განხორციელდა სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, კახეთისა და იმერეთის რეგიონებში. სულ სპეციალური ჭრისა და სანიტარული ჭრების ფარგლებში დამზადდა 12,5 ათასი კუბური მეტრი მერქნული რესურსი, საიდანაც ელექტრონული აუქციონის წესით რეალიზებული იქნა 7,4 ათასი კმ მერქნული რესურსი.
- ტყის აღრიცხვის მიმართულებით დაზუსტდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სატყეო უბნების ფართობები და საზღვრები. განხორციელდა მერქნული რესურსის მარაგების დადგენა-დაზუსტება, მოინიშნა სპეციალური ჭრის ტყეკაფები; სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობების შესახებ მომზადდა ინფორმაცია (სატაქსაციო დახასიათება). დასრულდა 2015 წელს დაწყებული ასპინძა-ახალქალაქისა და ახალციხის სატყეო უბნების ინვენტარიზაცია და შედგენილი იქნა ტყის მართვის გეგმები. რეგიონალური სამსახურები აღიჭურვა თანამედროვე საზომი

აღრიცხვის საშუალებებით.

- სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის მიზნით საველე და კამერალური შესწავლა განხორციელდა 208.42 ჰა ფართობზე; სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით ტყითსარგებლობის (იჯარა) მიზნით - 434.45 ჰა ფართობზე; ტყის ფონდის ტერიტორიაზე წიაღითსარგებლობის მიზნით - 680.99 ჰა ფართობზე; ტყის ფონდიდან ამოსარიცი ფართობების შესწავლა-დამუშავება - 992.54 ჰა ფართობზე; სამონადირეო მეურნეობის ლიცენზიის გაცემის მიზნით - 102 456,3 ჰა ფართობზე, სამონადირეო მეურნეობისათვის შერჩეული ფართობების კონტურების დადგენა განხორციელდა 7 570 ჰა ფართობზე.
- მოსახლეობის, საბიუჯეტო და სხვადასხვა ორგანიზაციების ხე-ტყით უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილია ტყეკაფები 583 369,57 კმ ოდენობით. (მ.შ. I ხარისხის 49 580,83 კმ, ხოლო II ხარისხის 533 788,74 კმ მერქანი).
- ხე-ტყის დამზადების ბილეთებით გაცემულია 517 483,38 კმ ხე-ტყე (მ.შ. I ხარისხი 45 884,76 კმ, II ხარისხი 471 598,62 კმ).
- საბიუჯეტო ორგანიზაციების, სსიპ-ების (მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული სსიპ-ის), თვითმმართველი ერთეულების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებისათვის II ხარისხის ხე-ტყის უზრუნველყოფის მიზნით 2016 წელს გამოიყო 51 082.89 კმ II ხარისხის ხე-ტყე, საიდანაც ათვისებულ იქნა 29 158,74 კმ, ხოლო სამასალე მერქნული რესურსით უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილ იქნა 1 545.24 კმ I ხარისხის ხე-ტყე, საიდანაც ათვისებულ იქნა 411,31 კმ. აგრეთვე, აღნიშნული ორგანიზაციების ხე-ტყით უზრუნველყოფის მიზნით სპეციალური ჭრების და ამორიცხულ ფართობებზე განხორციელებული ჭრების შედეგად მიღებული და დასაწყობებული მერქნული რესურსიდან გაცემულ იქნა 4 610.869 კმ ხე-ტყე. მათ შორის II ხარისხი - 4 153.391 და I ხარისხი - 457.478 კმ.
- სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის შუამდგომლობების საფუძველზე მოსახლეობის I ხარისხის მერქნული რესურსით უზრუნველყოფის მიზნით გაცემულია 43 062.54 კმ ხე-ტყე;
- გადაუდებელი აუცილებლობით (ხანძრით, სტიქიური უბედურებით ან/და სხვა ფორსმაჟორული გარემოებით) გამოწვეულ შემთხვევებთან დაკავშირებით მოსახლეობაზე გაცემულია 1 429 კმ I ხარისხის მერქნული რესურსი;
- გაფორმებული იქნა „ტყითსარგებლობის შესახებ“ ხელშეკრულებები საკომუნიკაციო ანძის ტყის ფონდში განთავსების თაობაზე (202 ერთეულზე) მობილურ ოპერატორებთან: შპს "მაგთიკომთან" - 65 საკომუნიკაციო ანძაზე, შპს "მობიტელ"-თან 52, შპს "ჯეოსელთან" - 85, შ.პ.ს „კურორტი საირმე“ - 1 და შ.პ.ს „კავკასუს ონლაინთან“ - 2 საკომუნიკაციო ანძაზე;
- გაიცა თანხმობა სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის მიზნით 33 ობიექტზე;
- გრძელვადიანი ტყითსარგებლობის უფლებით აუქციონის წესით გაიცა 5 ობიექტი;
- სპეციალური ჭრის შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის (მრგვალი ხე-ტყე (მორი-შეშა) საკუთრებაში გაცემის მიზნით გამოცხადდა 121 ელექტრონული აუქციონი. გამოცხადებული აუქციონებიდან შედგა 67. გაყიდული 7 411,4 კმ მერქნის ფასმა შეადგინა 1 546 615,1 ლარი;
- დონორი ორგანიზაციების დახმარებით მოეწყო სასწავლო ტურები სატყეო სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მიზნით. 400-მდე ტყის მცველს ჩაუტარდა „ტყის მდგრადი მართვის“ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგ-კურსი.

### დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- დაცული საქართველოს ტყეების ეკოლოგიური ფასეულობები, მათ შორის ბიოლოგიური მრავალფეროვნება;
- ჩამოყალიბებული ტყის ფონდის მართვის ქმედითი სისტემა;
- აღდგენილი ტყის ეკოსისტემები;
- გაზრდილი ტყით დაფარული ფართობები;
- მერქნული რესურსით უზრუნველყოფის მოწესრიგებული სისტემა;
- განახლებული ინფორმაცია ტყის რესურსების, მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების



- შესახებ, დაგეგმილი სატყეო ღონისძიებები, დაგეგმილი ტყითსარგებლობა;
- სატყეო შემოსავლების და სატყეო სექტორის წილის ზრდა ქვეყნის ეკონომიკაში.

### **მიღწეული საბოლოო შედეგები**

- საქართველოს ტყეების გაუმჯობესებული ეკოლოგიური მდგომარეობა;
- ტყის ფონდის მართვის გაუმჯობესებული სისტემა;
- აღდგენილი ტყის მასივები;
- მოწყობილი დროებითი სანერგეები და გაშენებული ტყის ფართობები;
- მერქნული რესურსით უზრუნველყოფის მოწესრიგებული სისტემა; მერქნული რესურსების მართვის გაუმჯობესებული ელექტრონული სერვისები;
- განახლებული ინფორმაცია ტყის რესურსების, მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ 2 სატყეო უბნისთვის;
- გაზრდილი სატყეო შემოსავლები და სატყეო სექტორის წილი ქვეყნის ეკონომიკაში.

### **დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი**

#### **1. საბაზისო მაჩვენებელი**

სატყეო სფეროში არსებული არასრულყოფილი საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზა;  
მიზნობრივი მაჩვენებელი

შემუშავებული „ტყის კოდექსის“ პარლამენტში წარდგენილი ახალი ვარიანტი შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით; შეტანილია ცვლილებები მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებში;

#### **2. საბაზისო მაჩვენებელი**

დღეის მდგომარეობით დონორების დახმარებითა და სააგენტოს დაფინანსებით ტყის აღდგენის სამუშაოები განხორციელებულია 80 ჰა-ზე. განხორციელებულია გაშენებული ნარგაობის მოვლის სამუშაოები, გახარების მაჩვენებელი შეადგენს დაახლოებით 75%-ს. შესწავლილი და დაპროექტებულია ნახანძრალი ტერიტორიის 50,0 ჰა ფართობი; სააგენტოს მიერ რეგიონების მიხედვით გამოვლენილია დეგრადირებული ტყის ის ფართობები, რომლებიც საჭიროებენ აღდგენას. ასევე, მოწყობილია ტყის დროებითი სანერგეები, საიდანაც მიღებული ნერგებით ხდება ტყის აღდგენისა და გაშენების ღონისძიებების წარმოება;

#### **მიზნობრივი მაჩვენებელი**

ტყის აღდგენის სამუშაოები განხორციელებულია დამატებით 10 ჰა-ზე, გაშენებული ნერგების მოვლის ღონისძიებები ჩატარებულია 80 ჰა-ზე, ნერგების გახარების მაჩვენებელი შეადგენს საშუალოდ 75%-ს; მოწყობილია ტყის დროებითი სანერგეები 4,5 ჰა.ზე, თესლნერგების გამოსავლიანობა შეადგენს 80%-ს;

#### **3. საბაზისო მაჩვენებელი**

მავენებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის აქტიური ღონისძიებები ხორციელდება 2013 წლიდან. დაზიანებული ტყის ფონდის ტერიტორია შეადგენს დაახლოებით 49 000 ჰა-ს. 2013 წლის პერიოდიდან დღემდე მავნებელ-დაავადებათა პროგრესირების შემცირებისა და ტყეების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დამუშავებულია 24 000 ჰექტარი; მავნებელ დაავადებათა პროგრესირება შემცირებულია 50%-ით; ტყეების სანიტარული მდგომარეობა გაუმჯობესებულია 60%-ით;

#### **მიზნობრივი მაჩვენებელი**

მავნებელ-დაავადებათა პროგრესირების შემცირებისა და ტყეების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დამუშავებული 22 000 ჰექტარი; მავნებელ დაავადებათა პროგრესირება შემცირებულია 40%-ით; ტყეების სანიტარული მდგომარეობა გაუმჯობესებულია 50%-ით;

#### **4. საბაზისო მაჩვენებელი**

2014 წლიდან დაიწყო ხანძარსაშიშ უბნებში სპეციალური ნიშნებისა და საინფორმაციო დაფების განთავსება. დღეის მდგომარეობით განთავსებულია 1 000 ერთეულამდე სპეციალური ნიშანი, 9 სატყეო

სამსახური აღჭურვილია მხოლოდ პირველადი სახანძრო ინვენტარით;

მიზნობრივი მაჩვენებელი

დამატებით 500 ერთეული სპეციალური ნიშანი და საინფორმაციო დაფა განთავსებული 44 სატყეო უბანში. სატყეო სამსახურების (9 სატყეო სამსახური) აღჭურვის გაუმჯობესება ხანძასაწინააღმდეგო ინვენტარით. ხანძარსაშიშ უბნებში ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად ხანძრის წარმოშობის რისკები შემცირებული 40-50%-ით;

#### 5. საბაზისო მაჩვენებელი

გამოყოფილ ტყეკაფებში არსებულ რესურსზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი დაბალია; სატყეო-სამეურნეო გზების არარსებობა ან არსებულის ხარისხი ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობისგან მოშორებით მდებარე ტყეკაფების ხელმისაწვდომობას. ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (ძირითადად სოფლად მცხოვრები) დამოკიდებულია ტყეზე, მერქნული რესურსის მოხმარების მხრივ. მოსახლეობა წლის განმავლობაში ახორციელებს მერქნული რესურსის ათვისებას გამოყოფილი ტყეკაფებიდან; მოსახლეობის და საბიუჯეტო ორგანიზაციების მერქნულ რესურსებზე (მ.შ. სათბობი შეშა) მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით გამოყოფილ ტყეკაფებამდე მისასვლელი სატყეო სამეურნეო გზების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო 2014 წელს, დღეის მდგომარეობით მოწყობილია 260-მდე კმ. გზა;

მიზნობრივი მაჩვენებელი

მოსახლეობის მერქნულ რესურსებზე (მ.შ. სათბობი შეშა) მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით გამოყოფილი ტყეკაფები საშუალოდ 700,0 ათ. კუბური მეტრი წლიურად, ტყეკაფების გამოყოფა მერქნული რესურსის მოპოვების სამუშაოების სეზონურობის გათვალისწინებით, ყოველწლიურად არაუგვიანეს აგვისტოს თვისა; ყოველწლიურად მოწყობილ/რეაბილიტირებული ტყეკაფებამდე მისასვლელი 180-200 კმ სიგრძის სატყეო-სამეურნეო გზა, რომელიც ექსპლუატაციისათვის მზად იქნება არაუგვიანეს აგვისტოს თვისა, რითაც ხე-ტყის გამოყოფილ რესურსზე ხელმისაწვდომობა მოხდება სრულად;

#### 6. საბაზისო მაჩვენებელი

ტყის რესურსების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მოძველებულია და არ ასახავს ფაქტიურ მდგომარეობას. ტყის მართვის განახლებული გეგმები შედგენილია მხოლოდ 2 სატყეო უბნისათვის (46 სატყეო უბნიდან), რაც არსებული სახელმწიფო ტყის ფონდის 5 %-ს შეადგენს;

მიზნობრივი მაჩვენებელი

ტყის მართვის გეგმები შედგენილია დამატებით 2 სატყეო (ასპინძა-ახალქალაქი და ახალციხე) უბნისათვის საერთო ფართობით 55 000 ჰა, საერთო ჯამში განახლებული ტყის მართვის გეგმა მოიცავს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის დაახლოებით 7,8%-ს;

#### მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. შემუშავებული და მიღებულია ცვლილებები ტყითსარგებლობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში; შემუშავებულია ტყის ახალი კოდექსის პროექტი;
2. ტყის გაშენება განხორციელებულია დამატებით 25,4 ჰა-ზე, გაშენებული ნერგების მოვლის ღონისძიებები ჩატარებულია 97,4 ჰა-ზე, ნერგების გახარების მაჩვენებელი შეადგენს საშუალოდ 80-85%-ს; მოწყობილია ტყის დროებითი სანერგეები 2,56 ჰა-ზე.
3. მავნებელ-დაავადებათა პროგრესირების შემცირების და ტყეების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების პროცენტულმა მაჩვენებელმა 50% შეადგინა. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მავნებელ-დაავადებათა პროგრესირების შემცირებისა და ტყეების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დამუშავებულია 22 000 ჰექტარი; კოლხური ბზის გადასარჩენად დამუშავებულია 400,0 ჰა დასავლეთ საქართველოს 3 რეგიონში (გურიის, იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში);
4. განთავსებულია 90 ერთეულამდე საინფორმაციო დაფა და სპეციალური ნიშნები განსაკუთრებით

ხანძარსაშიშ უბნებში; ყველა სატყეო სამსახური აღჭურვილია ხანძრის ლოკალიზებისათვის საჭირო პირველადი ინვენტარით.

- სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობა/რეაბილიტაცია განხორციელდა 55,7 კმ-ზე, სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობით გაიზარდა გამოყოფილი ტყეკაფების ათვისებისა და მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი; მოსახლეობის, საბიუჯეტო და სხვადასხვა ორგანიზაციების ხეტყით უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილია ტყეკაფები 583 369,57 კმმ ოდენობით;
- ტყის მართვის გეგმები შედგენილია დამატებით 2 სატყეო (ასპინძა-ახალქალაქი და ახალციხე) უბნისათვის საერთო ფართობით 53.6 ჰა, საერთო ჯამში განახლებული ტყის მართვის გეგმა მოიცავს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის დაახლოებით 7,8%-ს;

**ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**

- შეფერხდა საკანონმდებლო აქტების პროექტების შეთანხმების პროცესი და საკანონმდებლო აქტები პარლამენტს წარედგინება დაგეგმილ ვადაზე გვიან;
- მოწყობილია ტყის დროებითი სანერგეები 4,5 ჰა-ზე, - სწრაფმზარდი სახეობების (აკაცია) თესლნერგების მისაღებად მოწყობილ სანერგეებში მიღებული შესანიშნავი შედეგის გამო, საჭირო აღარ გახდა შექმნილიყო ახალი სანერგეები, მიღებული რაოდენობა თესლნერგებისა აკმაყოფილებდა ორ პლანტაციას.
- წლის დასაწყისში სატყეო სამსახურების მიერ შეფასდა ხანძარსაშიშ ადგილებში განსათავსებელი საინფორმაციო ბანერების რაოდენობა და მათ მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის შესაბამისად განხორციელდა საჭირო რაოდენობის შესყიდვა დაგეგმილზე ნაკლები რაოდენობით.
- ტყეკაფებამდე მისასვლელი სატყეო-სამეურნეო გზის მოწყობის მიზნით შეფასდა პრიორიტეტული სატყეო უბნები და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საკუთარი მატერიალური და ფინანსური რესურსებით მომხდარიყო (ბალანსზე არსებული მძიმე ტექნიკითა და ასევე, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ, თხოვნების წესით გადმოცემული სატრანსპორტო საშუალებებით) გზების მოწყობა-რეაბილიტაცია მხოლოდ 55.7 კმ-ზე და ამ ღონისძიებაზე მომსახურეობის შესყიდვა არ განხორციელებულა.

**1.5 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - ეროვნული სანაშენე მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (38 05)**

**განმახორციელებელი - სსიპ - ეროვნული საშენი მეურნეობა**

*ათასი ლარი*

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
38 05	ეროვნული საშენი მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	577.0	692.0	731.8	105.7%	835.7

38 05 01	სსიპ „ეროვნული საშენი მეურნეობა“	277,0	395.8	440.4	111.3%	699.2
38 05 02	საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ მცენარეთა სახეობების განახლება	300,0	296.2	291.4	98.4%	136.5

**საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა**

- განხორციელდა 2015 წელს და ასევე დამატებით გამოყვანილი ხემცენარეების მოვლა. ჯამში, როგორც კონტეინერებში, ისე ღია გრუნტში დაითესა დაახლოებით 149 000 ნერგი;
- დამზადებულ იქნა 450 კგ ნუშის თესლი და შესყიდულ იქნა 406,5 კგ. კაკლის თესლი. ნუშის თესლი დაითესა 0,3 ჰა. ფართობზე, დაახლოებით 30 000 ცალი. კაკლის თესლს ჩაუტარდა სტრატეგიკაცია და დაითესება 2017 წლის გაზაფხულზე, საიდანაც გამოყვანილი იქნება დაახლოებით 20 000 კაკლის საძირე. დამზადებული იქნა თესლები: აკაცია - 5 კგ, ჭადარი - 0,5 კგ, იფანი მახვილნაყოფა - 10 კგ. დამზადებული იქნა გირჩები: ფიჭვი კავკასიური - 1200 კგ, კვიპაროსი პირამიდული - 200 კგ, კვიპაროსი ვერცხლისფერი - 20 კგ, ფიჭვი ელდარის - 800 კგ და შავი ფიჭვი - 200 კგ;
- აშენდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 160 კვ.მ სიდიდის ათკამერიანი საწიწილე, სადაც მოხდება კაკბის, კოლხური ხოხბის, გნოლისა და დურაჯის გამრავლება შედგომში მათი ბუნებაში გაშვების მიზნით. საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი ადგილობრივი მოწყვლადი ორნიტოფაუნის წარმომადგენელთა გამრავლების და მათი ბუნებაში გაშვების მიზნით საშენ მეურნეობას ჰყავს 400 ერთეული კაკაბი და 22 ერთეული კოლხური ხოხობი;
- 2016 წლის განმავლობაში მეურნეობის მიერ რეალიზებული იქნა 44 001 ცალი ნერგი, ღირებულებით 135 963,5 ლარი. საჯარო მიზნებისათვის ქვეყნის მასშტაბით მუნიციპალიტეტებზე და სხვადასხვა ორგანიზაციებზე უსასყიდლოდ გაიცა - 78613 ცალი ნერგი. სოფ.უდაბნოს სოფლისკენ მიმავალი გზის მიმდებარედ ერთკილომეტრიან მონაკვეთზე აღდგა ქარსაფარი ზოლი. დედოფლისწყაროს რაიონში გერმანიის საერთაშორისო თამაშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით (GIZ) გაშენდა ქარსაფარი ზოლი და დაირგო 10 555 ცალი სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარეები;
- ეროვნულმა საშენმა მეურნეობამ გაიმარჯვა თბილისის მერიის გამწვანების ტენდერებში (ხელშეკრულების ჯამურმა თანხამ შეადგინა 530,0 ათას ლარზე მეტი);
- ნაკადულის კალმახის საშენში მოსაწყობად ადგილზე მოწესრიგდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ჩატარდა სამიზნე წყლის ობიექტების დეტალური გამოკვლევა. ტექნიკით გაიწმინდა მიმდებარე ტერიტორია და მოწესრიგდა სამომავლო დიდი ბუნებრივი ტბორი. დაჭერილია და გადაყვანილია 130-მდე ერთეული სადედე კალმახი, რომელიც განთავსდა ბუნებრივ ტბორში. მიღებულია 13 000-მდე ქვირითი, რომელიც განაყოფიერდა და განთავსებულია საინკუბაციო მოწყობილობაში.

**დაგეგმილი საბოლოო შედეგები**

- გამოყვანილი ტყის შემქმნელი ძირითადი სახეობების ნერგები;
- გამოყვანილი და მოვლილი საქართველოს წითელ ნუსხაში შემავალი სხვადასხვა სახეობის ნერგები.

**მიღწეული საბოლოო შედეგები**

- გამოყვანილი ტყის შემქმნელი ძირითადი სახეობების ნერგები;
- გამოყვანილი და მოვლილი საქართველოს წითელ ნუსხაში შემავალი სხვადასხვა სახეობის ნერგები.

**დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი**

1. საბაზისო მაჩვენებელი

2015 წლის ბოლოსთვის ტყის და ქარსაფარი ზოლის შემქმნელი ძირითადი სახეობის მილიონამდე გამოყვანილი ნერგი;

მიზნობრივი მაჩვენებელი

2-ჯერ გაზრდილი ტყის და ქარსაფარი ზოლის შემქმნელი ძირითადი სახეობების გამოყვანილი ნერგების რაოდენობა;

2. საბაზისო მაჩვენებელი

სულ საქართველოში არსებობს „წითელ ნუსხაში“ შემავალი მცენარეების 56 სახეობა, მათ შორის 8 სახეობის 153,0 ათ. ნერგი გამოყვანილი იქნება 2015 წლის ბოლომდე;

მიზნობრივი მაჩვენებელი

მოვლილი 2015 წელს გამოყვანილი საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შემავალი 8 სახეობის 153,0 ათასი ნერგი და გამოყვანილი ნერგების ბუნებაში გადატანის დაწყება, გარემოდან ამოღებული ინდივიდების შევსების მიზნით;

**მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი**

1. ტყის და ქარსაფარი ზოლის შემქმნელი ძირითადი სახეობების გამოყვანილი ნერგების რაოდენობამ გადააჭარბა 2 მილიონს;
2. 2015 წელს გამოყვანილ საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შემავალი 8 სახეობის 153,0 ათას ნერგს ჩაუტარდა მოვლის ღონისძიებები, დაწყებულია და გრძელდება გამოყვანილი ნერგების ბუნებაში გადატანა. დამატებით ღია გრუნტში დაითესა დაახლოებით 149 000 ნერგი;

**1.6 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (38 06)**

**განმახორციელებელი - სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი**

*ათასი ლარი*

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრები იდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
38 06	გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა	724,0	3 594,2	4 692.3	130.6%	183,3
38 06 01	სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და	624,0	3 476,2	4 575.6	131.6%	183,3

	განათლების ცენტრი					
38 06 02	გარემოსდაცვითი ელექტრონული სისტემის დანერგვა	100,0	118,0	116,6	98,9%	0

**საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა**

- სასკოლო მზაობის პროგრამის ფარგლებში შემუშავდა დამხმარე სახელმძღვანელო - „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“, 5-6 წლის ბავშვებთან სამუშაოდ, რომელიც მოიცავს შემდეგ გარემოსდაცვით თემებს: ბიომრავალფეროვნება ჩვენს გარშემო; წყლისა და ენერჯის დაზოგვა; ნარჩენების მართვა. ჩატარდა სახელმძღვანელოს პილოტირება და 2016 წლის სექტემბრიდან სახელმძღვანელო სასწავლო პროგრამებში ოფიციალურად დაინერგა თბილისის ბაგა-ბაღებში. ამ მიზნით გადამზადდა საბავშვო ბაგა-ბაღის 159 მეთოდისტი და აღმზრდელი;
- განათლება მდგრადი განვითარებისათვის ხელშეწყობის მიზნით, შემუშავდა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მიღებული იქნა დოკუმენტი - „გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის - გამჭოლი სტანდარტი“, რომელიც განსაზღვრავს, რა ცოდნა, უნარ-ჩვევები, დამოკიდებულებები და ღირებულებები უნდა ჰქონდეს მოსწავლეს განათლების კონკრეტული საფეხურის ბოლოს;
- სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობისა და წახალისების მიზნით, განხორციელდა გასართობ-შემეცნებითი პროექტი - „გაციანით პატარა გარემოსდამცველები“, რომლის ფარგლებშიც პატარა აღსაზრდელები გვიზიარებენ თავიანთ ცოდნას გარემოსდაცვით საკითხებზე;
- უმაღლეს განათლებაში გარემოსდაცვითი კომპეტენციის დანარგვის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან (GIPA) და გერმანიის საერთაშორისო განვითარების საზოგადოებასთან (GIZ) თანამშრომლობით, შემუშავდა ახალი სამაგისტრო პროგრამა - „გარემოსდაცვითი მენეჯმენტი და პოლიტიკა“, რომელიც წარმატებით ხორციელდება;
- გარემოსდაცვითი თემატიკით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები და ლექცია/სემინარები, რომელიც მოისმინა 984-მა მოსწავლემ, სხვადასხვა უნივერსიტეტის 570-მა სტუდენტმა, 159-მა პედაგოგმა/ლექტორმა;
- „ნარჩენების მართვის კოდექსით“ დაკისრებული მოთხოვნებისა და თანამედროვე სამყაროს სტანდარტების გათვალისწინებით, სასწავლო პროგრამის - „გარემოსდაცვითი მმართველი“ ფარგლებში ნარჩენების მართვის სფეროში გადამზადდა 176 ადამიანი;
- შემუშავდა ახალი პროექტი - „ეკოლიდერთა სკოლა“, რომლის ფარგლებში დაინტერესებულ მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, გაიარონ უფასო გარემოსდაცვითი კურსები. საანგარიშო პერიოდში ტრენინგები გაიარა 62-მა მონაწილემ;
- შემუშავდა სასწავლო მოდული „ეკოპროექტების მენეჯმენტი“, რომლის მიზანია მონაწილეთათვის ეკოპროექტების წერისა და მართვის უნარების შექმნა. ტრენინგი გაიარა 9 სტუდენტმა;
- პროექტის - „მედიის როლის გაძლიერება ბუნების კონსერვაციის სფეროში“ - ფარგლებში შემუშავდა ტრენინგმოდული ჟურნალისტებისთვის „მედია გარემოსთვის“, რომლის მიხედვით გადამზადდა 26 ჟურნალისტი და ბლოგერი;
- 2016 წელს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში შექმნილ საჯარო სივრცე „ეკოჰაბში“ შედგა 14 შეხვედრა სხვადასხვა გარემოსდაცვით თემაზე;
- ინიციატივა - „მწვანე ჩაი მინისტრთან ერთად“ ფარგლებში, გარემოსდაცვითი თემებით დაინტერესებულ პირთათვის მინისტრის მონაწილეობით ჩატარდა ექვსი შეხვედრა;
- დაიწყო ახალი პროექტი - „მოხალისე ლექტორი“, რომლის ფარგლებში სამინისტროს თანამშრომლები სხვადასხვა რეგიონის სკოლის მოსწავლეებს ხვდებიან და გარემოსდაცვითი თემების შესახებ ლექციებს

- მართავენ. სულ მოხალისე ლექტორების მიერ ჩატარდა 65 სემინარი;
- აღნიშნა გარემოსდაცვითი დღეები: ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის, წყლის დაცვის, დედამიწის დაცვის, ოზონის შრის დაცვის, ბიომრავალფეროვნებისა და მწვანე მომხმარებლის საერთაშორისო დღე;
  - ჩატარდა გარემოსდაცვითი კამპანია ვერცხლისწყლის თემატიკით მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის;
  - საანგარიშო პერიოდში ცენტრის მიერ ორგანიზებულ გარემოსდაცვით ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 3 228 ადამიანი.
  - ცენტრსა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის საფუძველზე გაიმართება ერთობლივი საჯარო ლექციები, დისკუსიები და შეხვედრები გარემოსდაცვით თემებზე. ეროვნული ბიბლიოთეკა ასევე თავის ფონდში დაცულ გარემოსდაცვით ლიტერატურასა და საერთაშორისო კონვენციებს ციფრულ ფორმატში გადაიტანს;
  - რადიო „კომერსანტის“ არხზე, ინოვაციური პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით, რუბრიკით- „მწვანე ბიზნესი“ ეთერში 31 გადაცემა გავიდა;
  - მოეწყო გარემოსდაცვითი კანონპროექტებისა და ორპუსის კონვენციის განხორციელების მეხუთე ეროვნული ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვა;
  - შეიქმნა და სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებს ნარჩენების ანგარიშგების ელექტრონული სისტემა;
  - გაკეთდა გარემოს დაცვის სფეროში, პროექტების ფარგლებში არსებული ექსპერტების რეესტრი. მიმდინარეობდა რეესტრების ფორმების უნიფიცირება და შევსება შესაბამისი მონაცემებით. შექმნილია გარემოსდაცვითი ლიტერატურის ნუსხა, რომელიც განთავსებულია გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე.
  - ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან თანამშრომლობით და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, ტყის მცველების გადამზადებისთვის შემუშავდა მოდული „ტყის დაგეგმვისა და მართვის ძირითადი პრინციპები“. აღნიშნული მოდულით სწავლება საქართველოს 9 რეგიონში, 353-მა ტყის მცველმა გაიარა;
  - UNDP/GEF მხარდაჭერითა და დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან თანამშრომლობით, აჭარის დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, რეინჯერების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით გადამზადდა 30 რეინჯერი;
  - UNDP-ის პროექტის ფარგლებში შემუშავდა ტრენინგმოდული ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის - ჰიდრომეტეოროლოგიური კატასტროფების რისკების მართვა. ტრენინგების შედეგად გადამზადდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების 128 წარმომადგენელი.

### **დაგეგმილი საბოლოო შედეგები**

- გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოძიებისთვის საჭირო წყაროებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობა;
- სხვადასხვა უწყებაში არსებულ, სათანადოდ დამუშავებულ, ადვილად აღსაქმელ და სანდო გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა;
- სხვადასხვა კამპანიებისა და პროგრამების ორგანიზების გზით საზოგადოებაში გაზრდილი გარემოსდაცვითი ცნობიერება;
- შესაბამისი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების გზით გარემოს დაცვის საკითხებისადმი სხვადასხვა სამიხნე ჯგუფების შეცვლილი ქცევა;
- სპეციალისტების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების ორგანიზების გზით გარემოს დაცვის სფეროში სპეციალისტების გაძლიერებული შესაძლებლობები;
- სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის საჭირო პროგრამული და სამართლებრივი უზრუნველყოფა.

### **მიღწეული საბოლოო შედეგები**

- საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა საჭირო წყაროებზე;

- ხელმისაწვდომია სხვადასხვა უწყებაში არსებული, სათანადოდ დამუშავებული, ადვილად აღსაქმელი და სანდო გარემოსდაცვითი ინფორმაცია;
- სხვადასხვა კამპანიებისა და პროგრამების ორგანიზების გზით საზოგადოებაში გაზრდილი გარემოსდაცვითი ცნობიერება;
- შესაბამისი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების გზით ჩატარებული გარემოს დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილი სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების შეხვედრები, წლის განმავლობაში ჩატარებული 23 შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 866 დაინტერესებულმა პირმა;
- სპეციალური ტრენინგმოდულების საშუალებით კვალიფიკაციამაღლებული გარემოს დაცვის სფეროში დასაქმებული სპეციალისტები;
- სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის უზრუნველყოფილი საჭირო პროგრამული და სამართლებრივი მხარდაჭერა.

### **დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი**

#### **1. საბაზისო მაჩვენებელი**

ერთიანი საინფორმაციო სისტემის დანერგვის კუთხით ამ ეტაპზე შექმნილია ატმოსფერულ ჰაერის ანგარიშგების ელექტრონული სისტემა, გარემოზე ზემოქმედების ნებართვების ვებ-რუკა, რომელზეც განთავსებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემული ნებართვები და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია 2014 წლიდან;

მიზნობრივი მაჩვენებელი

ერთიანი საინფორმაციო სისტემის დანერგვის კუთხით შემდგომ ეტაპზე შექმნილია წყლის და ნარჩენების ანგარიშგების ელექტრონული სისტემა, ექსპერტთა ელექტრონული ბაზა და გარემოსდაცვითი ლიტერატურის ელექტრონული ბიბლიოთეკა;

#### **2. საბაზისო მაჩვენებელი**

საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით მიმდინარე წელს ჩატარებულია 70 გარემოსდაცვითი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1 695-მა ადამიანმა, მათ შორის: 868 მოსწავლემ და 259 სტუდენტმა;

მიზნობრივი მაჩვენებელი

საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით ყოველწლიურად გარემოსდაცვითი ღონისძიებების (70-მდე წელიწადში) მოწყობა, სადაც მონაწილეობას მიიღებს 2 000-მდე ადამიანი, მ.შ. პრიორიტეტულია სკოლამდელი და სასკოლო ასაკის სამიზნე ჯგუფებისთვის და სტუდენტებისთვის ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების გამართვა, რომელშიც ყოველწლიურად საშუალოდ 600 მოსწავლე და სტუდენტი იღებს მონაწილეობას;

#### **3. საბაზისო მაჩვენებელი**

გარემოს დაცვის სფეროში სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 2015 წლის განმავლობაში ტრენინგი გაიარა სულ 470-მდე თანამშრომელმა, მათ შორის 270-მა ტყის მცველმა, დაცული ტერიტორიების 150-მა თანამშრომელმა, ცენტრის 10-მა თანამშრომელმა და სამინისტროს სხვადასხვა უწყების 39-მა თანამშრომელმა;

მიზნობრივი მაჩვენებელი

ახალი პროფესიების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით მომზადებული შესაბამისი ტრენინგ/მოდულები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის; საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულთა ტრენინგები, საშუალოდ წლიურად 300-მდე თანამშრომლის გადამზადება.

### **მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი**

1. შეიქმნა და ამ ეტაპზე სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებს ნარჩენების ანგარიშგების ელექტრონული



- სისტემა, მიმდინარეობს ექსპერტთა ელექტრონული ბაზის შექმნის პროცესი, რომლის ფარგლებშიც მომზადდა პროექტების ფარგლებში არსებული ექსპერტების რეესტრი, შეიქმნა გარემოსდაცვითი ლიტერატურის ნუსხა, რომელიც განთავსებულია ცენტრის ვებგვერდზე;
- საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით მოეწყო 130 ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 3 228-მა ადამიანმა, მათ შორის 984-მა მოსწავლემ, 570-მა სტუდენტმა, 159-მა პედაგოგმა/ლექტორმა და მასმედიის 26-მა წარმომადგენელმა;
  - მომზადდა ოთხი ახალი ტრენინგ/მოდული. ტრენინგი გაიარა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულმა 383-მა ადამიანმა.

**ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**

- შექმნილი წყლის ანგარიშგების სისტემა - აღნიშნული აღარ ექვემდებარება ცენტრის მიერ შესასრულებელ სამუშაოს და ახორციელებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;

**1.7 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა (38 07)**

**განმახორციელებელი - სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო**

*ათასი ლარი*

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების %	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
38 07	ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა	900.0	900.0	945.7	105.1%	49.7

**საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა**

- 2016 წლის 04 იანვრიდან შექმნილია და ფუნქციონირებს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო რეგულირებისა და კონტროლის განმახორციელებელი სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო;
- სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოზე დარეგისტრირებულია და ფიზიკური დაცვით უზრუნველყოფილია რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალიზებული საცავი, ასევე, სააგენტოს სახელზე რეგისტრირებულია სააკადის რადიოაქტიური ნარჩენების სამარხი;
- რადიოაქტიური ნარჩენების სამარხი უზრუნველყოფილ იქნა ფიზიკური დაცვითა და სათვალთვალო სისტემებით. ევროკავშირის პროექტის ფარგლებში, ჩატარებული უსაფრთხოების შეფასების დასკვნის შესაბამისად განხორციელდა გარდაბნის მუნიციპალიტეტში (სოფ. სააკაძე) მდებარე რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის რეაბილიტაცია, რითაც მკვეთრად შემცირდა გამოსხივების დოზის სიმძლავრე სამარხის ზედაპირზე;

- რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალიზებული საცავი უზრუნველყოფილ იქნა ფიზიკური დაცვით, ცეცხლმაქრებით, წყალმომარაგებისა და სათვალთვალ სისტემებით, ასევე, განხორციელდა საცავის სეისმომდეგობის შეფასება. რადიოაქტიური ნარჩენების უსაფრთხო მართვისა და მოპყრობის მიზნით, აშშ-ს ბირთვული მარეგულირებელი კომისიის მხარდაჭერით განხორციელდა საცავში განთავსებული რადიოაქტიური ნარჩენებისა და რადიოაქტიური წყაროების სრული ინვენტარიზაცია. ჩატარებული სამუშაოების შედეგად დადგინდა თითოეულ კონტეინერში განთავსებული რადიოაქტიური წყაროს მახასიათებლების შედარება უწყებრივ რეესტრში არსებულ მონაცემებთან;
- შეიქმნა და გაშვებულია სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს უახლესი სტანდარტების ვებ-გვერდი;
- სააგენტოს მფლობელობაში არსებული მობილური ლაბორატორიის მეშვეობით განხორციელდა საქართველოს რამოდენიმე რეგიონის (ანასეული, სოფ. სააკაძესთან არსებული სამარხის მიმდებარე ტერიტორია, გონიოს დასახლება და რიკოთის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორია) რადიაციული ფონის გაზომვები და რადიონუკლიდების განსაზღვრა ნიადაგში;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან ერთად შემუშავდა ელექტრონული ლიცენზირების სერვისის-პროგრამა (ბიზნეს პორტალი), რომლის საშუალებითაც ლიცენზიის მაძიებლებს და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს საქართველოს ნებისმიერი ქალაქიდან ონლაინ რეჟიმში შეეძლება ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის მიღება, გაუქმება და მასში ცვლილების შეტანა ელექტრონული განცხადების საფუძველზე, თანდართულ სალიცენზიო დოკუმენტებთან ერთად.
- საერთაშორისო ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებით 2016 წელს მიღებული იქნა შემდეგი კანონქვემდებარე აქტები: „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეებისა და საფასურის ოდენობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის - მრეწველობაში, მეცნიერებასა და განათლებაში რადიაციული უსაფრთხოების მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის - სამედიცინო დასხივების სფეროში რადიაციული უსაფრთხოების მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება; „ბირთვული გაუვრცელებლობის გარანტიებთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება; „ბირთვული და რადიაციული საქმიანობის სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება; „ტექნიკური რეგლამენტის - რადიოაქტიური ნარჩენებისადმი მოპყრობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება; „ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ინსპექტირების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება;
- საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა რადიოაქტიური ნარჩენების მართვის 2017-2031 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი განხორციელების 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა;
- შემუშავებულ იქნა კანონქვემდებარე აქტების პროექტები: „ტექნიკური რეგლამენტის - რადიოაქტიური ნარჩენების საცავის უსაფრთხოების შეფასებისადმი ძირითადი მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის - რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის უსაფრთხოების შეფასებისადმი ძირითადი მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის - ბირთვული და რადიაციული ავარიებისათვის მზადყოფნის და მათზე რეაგირების გეგმის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის - ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების ტრანსპორტირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის - მაიონებელი გამოსხივების წყაროების ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის კონტროლის ძირითადი მოთხოვნების“ დამტკიცების შესახებ“

საქართველოს მთავრობის დადგენილება; „ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება.

- ბირთვულ და რადიაციულ საქმიანობაზე გაიცა 80 ლიცენზია, გაუქმდა - 21 ლიცენზია. ლიცენზიის მფლობელ 101 ობიექტს მიეცა ლიცენზიის ფარგლებში საქმიანობის გაფართოების უფლება. ლიცენზიის ფარგლებში გაიცა 35 ნებართვა მაიონებელი გამოსხივების წყაროების იმპორტ-ექსპორტზე;
- განხორციელდა 107 ბირთვული და რადიაციული საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციის ინსპექტირება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნათა შესაბამისობის დადგენის მიზნით. განხორციელდა რეაგირება 52 რადიაციულ ინციდენტზე.

### **დაგეგმილი საბოლოო შედეგები**

- მოწესრიგებული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან;
- გაუმჯობესებული რადიოაქტიური ნარჩენების მართვის სისტემა;
- ელექტროენერგიით, წყლით, ფიზიკური დაცვის სისტემითა და აღჭურვილობით მოწესრიგებული რადიოაქტიური ნარჩენების სამარხი და საცავი;
- შეფასებული გარემოს რადიაციული მდგომარეობა;
- მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან დაცული მოსახლეობა და გარემო;
- სამედიცინო პერსონალისა და პაციენტის დაცვა დადგენილი დოზური ზღვრის გადაჭარბებით დასხივებისგან.

### **მიღწეული საბოლოო შედეგები**

- საერთაშორისო მოთხოვნებთან და სტანდარტებთან შესაბამისი მოწესრიგებული საკანონმდებლო ბაზა (მიღებული - 8 კანონქვემდებარე აქტი, 6 - კანონქვემდებარე აქტის პროექტი);
- განხორციელებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური რეფორმის შედეგად გაუმჯობესებული რადიოაქტიური ნარჩენების მართვის სისტემა;
- ელექტროენერგიით, წყლით, ფიზიკური დაცვის სისტემითა და აღჭურვილობით მოწესრიგებული რადიოაქტიური ნარჩენების სამარხი და საცავი (2 ლოკაცია); რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალიზებულ საცავში განთავსებული რადიოაქტიური ნარჩენებისა და რადიოაქტიური წყაროების სრული ინვენტარიზაცია; რეაბილიტირებული რადიოაქტიური ნარჩენების სამარხი. შედეგად ბუნებრივ რადიაციულ ფონამდე დაყვანილი გამოსხივების დოზის სიმძლავრე;
- შეფასებული გარემოს რადიაციული მდგომარეობა ანასეულში, სოფ. სააკაძესთან არსებული რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის მიმდებარე ტერიტორიაზე, გონიოს დასახლებასა და რიკოთის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან დაცული მოსახლეობა და გარემო;
- დაუსაბუთებელი დასხივებისგან დაცული სამედიცინო პერსონალი და პაციენტები (განხორციელებული ბირთვული და რადიაციული საქმიანობის განმახორციელებელი 107 ორგანიზაციის ინსპექტირება).

### **დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი**

#### **1. საბაზისო მაჩვენებელი**

დღეის მდგომარეობით არსებობს მცხეთის რადიოაქტიური ნარჩენების დროებითი საცავი და სააკაძის რადიოაქტიური ნარჩენების სამარხი, რომელთა ინფრასტრუქტურა მოუწესრიგებელია;

#### **მიზნობრივი მაჩვენებელი**

ინფრასტრუქტურულად გამართული, ფიზიკური დაცვის სისტემებით უზრუნველყოფილი რადიოაქტიური ნარჩენების 2 ლოკაცია;

**2. საბაზისო მაჩვენებელი**

დღემდე არ ხორციელდებოდა საქართველოს რეგიონებში რადიაციის ფონური მაჩვენებლებისა და გარემოში (ნიადაგში, ჰაერში, წყალში) არსებული რადიონუკლიდების მონიტორინგი შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის უქონლობის გამო;

მიზნობრივი მაჩვენებელი

საქართველოს რეგიონებში (ანასეული, აჭარაში ყოფილი სამხედრო ბაზების ტერიტორია, გრიგოლეთი, რიკოთის უღელტეხილი, ტყიბული, ჭიათურა) განხორციელდება რადიაციის ფონური მაჩვენებლებისა და გარემოში (ნიადაგში, ჰაერში, წყალში) არსებული რადიონუკლიდების მონიტორინგი;

**3. საბაზისო მაჩვენებელი**

დღეის მდგომარეობით წლის განმავლობაში საშუალოდ გაიცემა ბირთვულ და რადიაციულ საქმიანობაზე 216 ცალი ლიცენზია და 38 ნებართვა;

მიზნობრივი მაჩვენებელი

გაკონტროლებული დასახივების დადგენილი დოზური ზღვარი სამედიცინო დაწესებულებებში, დაცული პაციენტები, პერსონალი, მოსახლეობა და გარემო;

**მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი**

- ინფრასტრუქტურულად გამართული, ფიზიკური დაცვით, ცეცხლმაქრებით, წყალმომარაგებისა და სათვალთვალ სისტემებით აღჭურვილი რადიოაქტიური ნარჩენების განთავსების 2 ლოკაცია;
- საქართველოს რეგიონებში (ანასეული, სოფ. სააკაძესთან არსებული სამარხის მიმდებარე ტერიტორია, გონიოს დასახლება და რიკოთის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორია) გაზომილი რადიაციული ფონი და ნიადაგში განსაზღვრული რადიონუკლიდების კონცენტრაცია;
- მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან დაცული პაციენტების, სამედიცინო პერსონალის და მოსახლეობის გაზრდილი რაოდენობა;

**ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**

- აჭარაში ყოფილი სამხედრო ბაზების ტერიტორიაზე, გრიგოლეთში, ტყიბულსა და ჭიათურაში რადიაციის ფონური მაჩვენებლებისა და გარემოში (ნიადაგში, ჰაერში, წყალში) არსებული რადიონუკლიდების მონიტორინგი არ განხორციელებული, ვინაიდან დაკორექტირდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში 2016-2019 წლებში განსახორციელებელი რადიაციის ფონური მაჩვენებლებისა და გარემოში არსებული რადიონუკლიდების მონიტორინგის განრიგი, შესაბამისად 2016 წლისათვის დაგეგმილი აღნიშნული ქმედებები განხორციელდება მომდევნო წლების განმავლობაში.

**1.8 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება, პრევენცია და ბუნებრივი რესურსების მართვა (38 08)**

განმახორციელებელი - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების %	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვე

						ვაში)
38 08	გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება, პრევენცია და ბუნებრივი რესურსების მართვა		140	535.9	382.8%	9 829.8

**საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა**

- რეგულარულად, დღეღამურ რეჟიმში ტარდებოდა დაკვირვებები საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურებსა და საგუშაგოებზე; ოპერატიულად წარმოებდა ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების მონაცემების კოდირება, მათი შეკრება და ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე გავრცელება; ოპერატიულად წარმოებდა ამინდის პროგნოზის მსოფლიო ცენტრებიდან (საფრანგეთი-ტულუზა, ინგლისი-რედინგი) გლობალური სინოპტიკური პროდუქციის მიღება და ანალიზი; ყოველდღიურად დგებოდა და ვრცელდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე ამინდის და ჰიდროლოგიური მოკლე და საშუალოვადიანი საერთო და სპეციალიზირებული (მომხმარებელთა მოთხოვნის შესაბამისად) დანიშნულების პროგნოზები;
- საქართველოს სამხედრო საავტომობილო გზისთვის რეგულარულად მზადდებოდა და მომხმარებელს მიეწოდებოდა სპეციალიზირებული პროგნოზები და გაფრთხილებები ამ გზის გასწვრივ, ან მის ცალკეულ მონაკვეთებზე მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ; მზადდებოდა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და მასმედიის საშუალებებს მიეწოდებოდა გაფრთხილებები საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ. საანგარიშო პერიოდში გაიცა 105 გაფრთხილება;
- რეგულარულად ტარდებოდა ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელის მეთოდური ზედამხედველობის სამუშაოები. მოწმდებოდა დაკვირვებების წარმოების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა და ფასდებოდა შესაბამის მონაცემთა ხარისხი. რეგულარულად ტარდებოდა ისტორიული და მიმდინარე ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების მონაცემთა ხარისხის კონტროლი და სტატისტიკური დამუშავება;
- სტიქიური გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ღვარცოფი და სხვა) შეფასების მიზნით დასრულდა ყოველწლიური მონიტორინგი (გაზაფხული-შემოდგომა) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, შეფასებულ იქნა 934 დასახლებული პუნქტი;
- საქართველოს ძირითადი მდინარეების: ენგურის, აჭარისწყალის, რიონის, სუფსის, მტკვრის, არაგვის, ქციას, ალაზნის, ხანისწყალს და მათი შენაკადების აუზების ზემო წელში და ქვეყნის 8 უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიებზე ჩატარდა თოვლის საფარის აგეგმვის ექსპედიციური სამუშაოები, რის საფუძველზეც მომზადდა და მომხმარებელს მიეწოდა გაზაფხულის წყალდიდობის პროგნოზი.
- ივნისის თვეში მდ. დევდორაკ-ამალის მდ. თერგთან შეერთების მონაკვეთში არსებული რისკების თავიდან ასაცილებლად გაფრთხილების სისტემის ორგანიზების მიზნით დაწესდა გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების დღე-ღამურ რეჟიმში მორიგეობა. 23 ივნისს დევდორაკის ხეობაში განვითარებული ღვარცოფული პროცესები დროულად იქნა პროგნოზირებული და შესაბამისი გაფრთხილება მიეწოდა გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, რამაც პრაქტიკულად გამორიცხა ადამიანთა მსხვერპლი;
- მდ. დევდორაკ-ამალის ხეობაში (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) დამონტაჟდა სტიქიური მოვლენების

- შესახებ ადრეული შეტყობინების თანამედროვე სისტემა. მდ. ვერეს აუზში დამონტაჟდა 5 ერთეული ნალექმზომი და 3 ერთეული წყლის დონის მზომი ხელსაწყო-დანადგარი, ხოლო მდ. გლდანულაზე - 1 ერთეული ნალექმზომი ხელსაწყო. შეძენილ იქნა და დამონტაჟდა დიდი დიამეტრის სატელიტური მეტეოროლოგიური ინფორმაციის მიმღები ანტენა/თეფში, რამაც შექმნა ცუდი (ნალექიანი) ამინდის პირობებში ინფორმაციის შეუფერხებლად მიღების შესაძლებლობა. ექსპლუატაციაში შეყვანილ იქნა იაპონიის გრანტის ფარგლებში გადმოცემული 4 ერთეული წყლის ხარჯის მზომი ხელსაწყო;
- მონიტორინგული ქსელის მოწყობის მიზნით დასრულდა სამუშაოები თბილისის ტერიტორიაზე ცალკეულ უკიდურესად დაძაბულ მეწყრულ უბნებზე (3 უბანი), სადაც ყოველ 10 დღეში განხორციელდება ინსტრუმენტალური გაზომვები მეწყრების დინამიკის დასადგენად;
  - შეძენილ იქნა საწარმოო გაერთიანება "დელტა"-ს კუთვნილი მეტეოროლოგიური რადარის მონაცემებთან წვდომის ლიცენზია და დაინერგა რადარიდან მიღებული ინფორმაციის მიმღები ტექნოლოგია. დასრულდა სწავლება რადარიდან მიღებული მონაცემების ეფექტურად გამოყენების მიზნით;
  - მომზადდა ნაპირსამაგრი ნაგებობების პროექტები: მდ. რიონზე სოფ. ბუგეულსა და საჯავახოში, მდ. ცხენისწყალზე სოფ. ჭალისთავში და ლენტეხში და მდ. ალაზანზე სოფელ ქვემო ალვანში.
  - ჰაერის ხარისხის მონიტორინგი წარმოებდა ექვს ქალაქში: თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ჭიათურაში, ზესტაფონსა და ბათუმში განთავსებულ ათ სადამკვირვებლო პუნქტზე. მათ შორის ქ.თბილისში იაპონიის გრანტის ფარგლებში ამოქმედდა სამი თანამედროვე ავტომატური სადგური;
  - ატმოსფერული ჰაერის ინდიკატორული გაზომვები ჩატარდა საქართველოს 16 დასახლებულ პუნქტში აპრილში, ივნისსა და სექტემბერში;
  - რეგულარულად წარმოებდა საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურების მონიტორინგი, რისთვისაც ხდებოდა წყლის სინჯების აღება დადგენილ წერტილებში და ტარდებოდა ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზები;
  - განხორციელდა 15 ჭაბურღილზე (5 ჭაბურღილი ალაზნისა და იორის არტეზიული აუზების, 5 - ქართლის არტეზიული აუზისა და 5 - კოლხეთისა და წყალტუბოს არტეზიული აუზების ფარგლებში) აპარატურის ინსტალაცია და განახლებულ ჰიდრომონიტორინგულ ქსელში მათი ჩართვა. დასაკვირვებელი ჭაბურღილების საერთო რაოდენობა შეადგენს 34 ერთეულს;
  - წარმოებდა მიწისქვეშა წყლების დასაკვირვებელი პუნქტებიდან ავტომატურ უწყვეტ რეჟიმში მომდინარე ჰიდრომონიტორინგული მაჩვენებლების სისტემატიური კონტროლი. მონიტორინგის ფარგლებში მონაცემების მიღება და ხორციელდება უკვე 34 ჭაბურღილიდან (კახეთის, შიდა ქართლისა და დასავლეთ საქართველოს რეგიონებიდან);
  - დასრულდა საქართველოს ჰიდროგეოლოგიური ოლქების, რაიონების და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების (რეგიონების), მუნიციპალიტეტების მიხედვით მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების საექსპლუატაციო რესურსების გავრცელების რუკის (მ 1:500 000) შედგენა;
  - აბასთუმნის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვების სადგურზე მიმდინარეობდა ატმოსფერული ჰაერისა და ნალექების სინჯების აღება;
  - ყოველდღიურად ხდებოდა 15 მეტეოროლოგიური სადგურიდან რადიაციული ფონის შესახებ შემოსული ინფორმაციის შეფასება და საინფორმაციო ბიულეტენში განთავსება;
  - მოსახლეობიდან შემოსული განცხადებების საფუძველზე ტარდებოდა ელ.მაგნიტური ველის ნაკადის სიმკვრივისა და ხმაურის მონაცემების გაზომვები;
  - შეძენილი იქნა ახალი იონ-ქრომატოგრაფი, რომელიც დამონტაჟდა ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიაში;
  - მომზადდა 2016 წლის იანვრისა და თებერვლის საინფორმაციო ბიულეტენები „მოკლე მიმოხილვა საქართველოს გარემოს დაბინძურების შესახებ“, „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების 2015 წლის წელიწდეული“; „ნიადაგის დაბინძურების 2015 წლის წელიწდეული“; „ზედაპირული წყლის დაბინძურების 2015 წლის წელიწდეული“; საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერულ ჰაერში γ-გამოსხივების ექსპოზიციური დოზის სიმძლავრის წელიწდეული.“ ყოველწლიური საინფორმაციო ბიულეტენი „საქართველოში 2015 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები

- და პროგნოზი 2016 წლისთვის“; მომზადდა და გამოიცა „მიწისქვეშა წყლების განახლებული მონიტორინგის შესახებ 2015 წლის იანვარ-ივნისის პერიოდის საინფორმაციო ბიულეტენის“ სრული ვერსია. ასევე მომზადდა ბიულეტენის ადაპტირებული ვერსია სააგენტოს ვებ-გვერდისთვის;
- მომზადდა მდ. გლდანის ხევის წყალშემკრები აუზის გეოლოგიური ანგარიში, თბილისის ფურცლის (K-38-XXI) გეოლოგიური ანგარიში, 1:200000 მასშტაბის გეოლოგიური, ტექტონიკური და სასარგებლო ნამარხების რუკები;
  - სხვადასხვა რეგიონების მუნიციპალიტეტებიდან და ცალკეული მოქალაქეებისგან შემოსული წერილების საფუძველზე, სტიქიური პროცესების გააქტიურებასთან დაკავშირებით, შედგენილი იქნა 152 ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა;
  - განხორციელდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების (112), საინჟინრო ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციის და გარემოსდაცვით სფეროში კანონმდებლობის ხაზით მიღებული დოკუმენტების გეოლოგიური ნაწილის რეცენზირება, რის საფუძველზეც შენიშვნების, საექსპერტო დასკვნების, კომენტარების და სხვა სახით შედგენილი იქნა 143 დოკუმენტი;
  - დასრულდა სასარგებლო წიაღისეულის სახელმწიფო ბალანსის შედგენა 2015 წლის 1 იანვრის მდომარეობით და მიმდინარეობს ბალანსის შედგენა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით;
  - წიაღით სარგებლობისათვის სალიცენზიოდ წარმოდგენილ 1181 ობიექტზე და 164 ობიექტზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების მიზნით, მომზადდა გეოსაინფორმაციო პაკეტი და 4 ფორმატის ტოპოგრაფიული რუკები; 172 ობიექტზე სხვადასხვა ხელისშემშლელი გარემოებების გამო ინფორმაციის მომზადება არ არის მიზანშეწონილი;
  - დასრულდა სტატისტიკური დაკვირვების ფორმების - 31 ერთეული ლიცენზიის შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ბაზებში დაფიქსირება;
  - წარმოდგენილი კოორდინატებით მომხმარებლებისთვის მომზადდა - 605 ცალი ტოპოგრაფიული რუკა, 43 ცალი ლიცენზიის არსებობა/არ არსებობის შესახებ ინფორმაცია; 69 ც გეოლოგიურ ფონდებში არსებული ინფორმაციის საფუძველზე მასალები;
  - მიმდინარეობდა მონაცემთა ბაზების რეგულარული განახლება; გაგრძელდა სახელმწიფო გეოლოგიურ ფონდებში დაცული მასალების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა;
  - ჩეხეთის განვითარების სააგენტოს დაფინანსებული პროექტის ფარგლებში დუშეთის მუნიციპალიტეტში 3 მეწყრულ-ღვარცოფულ უბნებზე დაინსტალირდა მონიტორინგული აპარატურა;
  - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს „ცხელი ხაზით“ და 112-ით 2016 წლის მანძილზე შემოსული იყო 97 შეტყობინება, რომელზედაც გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგები ახდენდნენ შესაბამის რეაგირებას;
  - განხორციელდა ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები და მომზადდა 72 დასკვნა, სადაც შეფასებულია ინფრასტრუქტურული ობიექტების და დაძაბული უბნების გეოდინამიკური და გეოეკოლოგიური მდგომარეობა;
  - მიწის ნაკვეთების წიაღზე დამაგრება/არ დამაგრების შესახებ მომზადდა ინფორმაცია 2 618 განაცხადისთვის;
  - სეზონური დაკვირვების 6 სადგურზე განხორციელდა საზღვაო ექსპედიციის ზამთრის ეტაპი, რომლის დროსაც აღებული ჰიდრობიოლოგიური სინჯები, ასევე, კვლევა განხორციელდა საოკუპაციო ხაზის მიმდებარედაც;
  - შემუშავდა თევზების მარაგების შეფასების და თევზჭერის კვოტების განსაზღვრის მოქმედებათა გეგმა, მისი მეთოდური საფუძვლები. მომზადდა ანგარიში: „საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს 2016-2017 წლების სარეწაო სეზონის თევზჭერის კვოტები“; მომზადდა კონკრეტული რეკომენდაციები საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს მდგრადი და საპასუხისმგებლო თევზჭერის განვითარების მიზნით;
  - მომზადდა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს თევზჭერის მონაცემთა ბაზა, რომელშიც ასახულია თევზჭერის ისტორიული, ასევე, მიმდინარე სტატისტიკა და მისი შესაბამისი ანალიზი;
  - მომზადდა ბიოლოგიური მონიტორინგის მონაცემთა ბაზების ფორმები, 2016 წლიდან ბიოლოგიური მონიტორინგის შედეგები აისახება აღნიშნულ მონაცემთა ბაზებში, ასევე მიმდინარეობს მათში

ისტორიული მონაცემების შეყვანა;

- მომზადდა საქართველოში კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით ახალი სამშენებლო-კლიმატური ნორმები.

### **დაგეგმილი საბოლოო შედეგები**

- მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენების პროგნოზების გაზრდილი სიზუსტე და გამართლებადობა;
- შესაძლო სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული შერბილებული ეკონომიკური ზარალი;
- სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული ადამიანთა შესაძლო მსხვერპლის გამორიცხვა ან მინიმუმამდე დაყვანა;
- „დიდი თბილისის“ გეოლოგიური საფრთხეების რუკის შექმნა, რომელიც საშუალებას მოგვცემს სწორად შევაფასოთ მოსახლეობაზე, ინფრასტრუქტურასა და გარემოზე საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო ნეგატიური ზემოქმედების რისკი;
- საქართველოში შავი ზღვის სანაპიროსა და შიდა წყალსატევების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებული შეფასება, გაზრდილი გარემოს დაბინძურების და ბიორესურსების შესახებ ინფორმაციის სანდოობა და საიმედოობა;
- ატმოსფერულ ჰაერზე დაკვირვების ავტომატური სადგურების მონაცემების საშუალებით ჰაერის დაბინძურებაზე უწყვეტი დაკვირვება და ქალაქების ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების რეალური სურათის მიღების უზრუნველყოფა;
- შედგენილი 1:200000 მასშტაბის გეოლოგიური რუკების კომპლექტი და მისი ელექტრონული ვერსია ქართულ და ინგლისურ ენებზე, სადაც ასახულია რეგიონში არსებული ქანების პეტროგრაფიული, ლითოლოგიური, სტრატეგრაფიული და მინერალოგიური კვლევების შედეგები;
- არსებული გეოლოგიური ფონდების ელექტრონულ ვერსიაში გადაყვანით მნიშვნელოვანი ღირებულების ინფორმაციის გადარჩენა, უფრო სრულყოფილი ქვეყნის მინერალურ-რესურსული ბაზა.

### **მიღწეული საბოლოო შედეგები**

- გაზრდილი მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენების პროგნოზების სიზუსტე და გამართლებადობა;
- შერბილებული სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული ეკონომიკური ზარალი;
- მინიმუმამდე დაყვანილი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული ადამიანთა შესაძლო მსხვერპლი;
- შექმნილი „დიდი თბილისის“ გეოლოგიური საფრთხეების ზონირების წინასწარი რუკა;
- გაუმჯობესებული საქართველოში შავი ზღვის სანაპიროსა და შიდა წყალსატევების ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება, გაზრდილი გარემოს დაბინძურებისა და ბიორესურსების შესახებ ინფორმაციის სანდოობა და საიმედოობა;
- ამოქმედებული ატმოსფერულ ჰაერზე დაკვირვების სამი ავტომატური სადგური ქ. თბილისში და ერთი - ქალაქ ჭიათურაში. უწყვეტი დაკვირვების საშუალებით მიღებული ამ ქალაქების ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების რეალური სურათი.
- შედგენილი 1:200000 მასშტაბის გეოლოგიური რუკების კომპლექტი და მისი ელექტრონული ვერსია;
- ელექტრონულ ვერსიაში გადაყვანილი არსებული გეოლოგიური ფონდები ;

### **დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი**

#### **1. საბაზისო მაჩვენებელი**

სტიქიური გეოლოგიური პროცესების შეფასება საქართველოს მასშტაბით 3 668 დასახლებული პუნქტიდან (მ.შ 1600 სტიქიურად საშიშ უბნად შეიძლება ჩაითვალოს) 1 200 პუნქტში ხორციელდება (33%); მიზნობრივი მაჩვენებელი



სტიქიური გეოლოგიური პროცესების შეფასება საქართველოს მასშტაბით 3 668 დასახლებული პუნქტიდან 1 600 პუნქტში (44%);

## 2. საბაზისო მაჩვენებელი

არსებობს „დიდი თბილისის“ ფარგლებში პირველადი სამოქმედო ინფორმაცია და წინასწარი საინჟინრო-გეოდინამიკური რუკა, რომელიც გადაეცემა ქალაქ თბილისის მერიას;

მიზნობრივი მაჩვენებელი

„დიდი თბილისის“ ფარგლებში სამოქმედო ინფორმაციის და საინჟინრო-გეოდინამიკური რუკის 100%-ით დეტალიზაცია, რაც 30%-ით გაზრდის ინფორმაციის მასშტაბურობას. შედგენილი საბოლოო საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში, შესაბამისი დასკვნებით და რეკომენდაციებით;

## 3. საბაზისო მაჩვენებელი

ზედაპირული წყლებისა და ნიადაგის ხარისხის უკეთ შესწავლის მიზნით აუცილებელია მონიტორინგის არეალის გაფართოება. ზედაპირული წყლების ხარისხის შესაფასებლად ამჟამად დაკვირვებები მიმდინარეობს 116 კვეთზე, რაც შეადგენს დაგეგმილი 170 კვეთის 68%-ს, ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგი კი ამჟამად მიმდინარეობს 30 დასახლებულ პუნქტში, რაც შეადგენს დაგეგმილი 85 პუნქტის 35 %-ს;

მიზნობრივი მაჩვენებელი

საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს წყლის ხარისხის მონიტორინგი მიმდინარეობს 170 წერტილში (წლიური ზრდა 12-15%-ით), ხოლო ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგი - 70 დასახლებულ პუნქტში (წლიური ზრდა - 30%-მდე);

## 4. საბაზისო მაჩვენებელი

საველე ჰიდრომეტეოროლოგიური ექსპედიციური სამუშაოების მოცულობა საჭირო მოცულობის 50% შეადგენს;

მიზნობრივი მაჩვენებელი

საველე ჰიდრომეტეოროლოგიური ექსპედიციური სამუშაოების მოცულობა ყოველწლიურად გაიზრდება 5%-ით, შედეგად 3-5%-ით ამაღლდება გაზაფხულის წყალდიდობის პროგნოზის გამართლებადობა და 10%-ით გაიზრდება მდინარეებზე წყლის ხარჯების გაზომვის რაოდენობა. აგრეთვე 5%-ით გაიზრდება შესწავლილი მყინვარების რაოდენობა;

## 5. საბაზისო მაჩვენებელი

ამჟამად არსებული ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის სისტემა 25%-ით აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს. ავტომატური მონიტორინგი უწყვეტ რეჟიმში ტარდება მხოლოდ ქალაქ თბილისში;

მიზნობრივი მაჩვენებელი

ინდიკატორული გაზომვების მეშვეობით ყოველწლიურად 10%-ით გაიზრდება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონის შეფასება საქართველოს შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ზესტაფონი, თელავი, გორი, ახალციხე და ზუგდიდი;

## 6. საბაზისო მაჩვენებელი

გეოლოგიურ ფონდებში არსებული ინფორმაციის (ტექსტური, გრაფიკული მასალა და რუკები) ქალაქის ფორმატიდან ელექტრონულ ვერსიაში გადაყვანა, დაარქივება და შენახვა განხორციელებულია 15%-ით; წლის ბოლომდე იგეგმება სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისთვის სალიცენზიოდ წინასწარ შერჩეული ობიექტებისათვის 1 300 გეოსაინფორმაციო პაკეტის შედგენა;

მიზნობრივი მაჩვენებელი

გეოლოგიურ ფონდებში არსებული ინფორმაცია დაარქივებული და გადაყვანილი ელექტრონულ ფორმატში; გაგრძელდება სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისთვის სალიცენზიოდ წინასწარ

შერჩეული ობიექტებისათვის გეოსაინფორმაციო პაკეტების მომზადება; გაგრძელდება სასარგებლო წიაღისეულის კადასტრის წარმოება; მთავრობისთვის შექმნილი წიაღის სახელმწიფო ბალანსი;

### **მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი**

1. სტიქიური გეოლოგიური პროცესების შეფასება საქართველოს მასშტაბით განხორციელდა 3 668 დასახლებული პუნქტიდან 1 421 პუნქტში (დასახლებული პუნქტების შეფასება დამოკიდებულია გეოლოგიური სტიქიური პროცესების ექსტრემალური გააქტიურების დინამიკაზე);
2. რუკაზე დატანილი „დიდი თბილისის“ ფარგლებში არსებული ძირითადი გეოლოგიური პროცესები, მომზადებული გეოლოგიური დასკვნები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების დასახვით;
3. გაზრდილი ზედაპირული წყლების მონიტორინგის ქსელი. შედეგად, 72 მდინარეზე და 12 ტბასა და წყალსაცავზე განხორციელებული მონიტორინგი. სულ წლის განმავლობაში ზედაპირულ წყალზე დაკვირვების წერტილების რაოდენობა წინა წელთან გაზრდილია 33 წერტილით; ნიადაგის მონიტორინგი განხორციელდა 39 დასახლებულ პუნქტში და სინჯები აღებული იქნა წინა წელთან შედარებით 50-ით მეტ წერტილში;
4. ნაცვლად მიზნობრივი მაჩვენებლით დაგეგმილი 9 ქალაქისა, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ინდიკატორული გაზომვები ჩატარდა 16 ქალაქში: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ზესტაფონი, რუსთავი, თელავი, გორი, ახალციხე, ზუგდიდი, კასპი, მცხეთა, ოზურგეთი, ფოთი, სამტრედია, სენაკი და ხაშური. სულ ჩატარდა 466 გაზომვა.
5. დაარქივებული და ელექტრონულ ფორმატში გადაყვანილი გეოლოგიურ ფონდებში არსებული ინფორმაცია; სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისთვის სალიცენზიოდ წინასწარ შერჩეული ობიექტებისათვის მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტები (1 181 ერთეული); დასრულებული სასარგებლო წიაღისეულის კადასტრის წარმოება; მომზადებული წიაღის სახელმწიფო ბალანსი;

### **ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**

საველე ჰიდრომეტეოროლოგიური ექსპედიციური სამუშაოების ზრდა (მე-4 ინდიკატორი) დაგეგმილი იყო დამატებითი კადრებისა და რესურსების მოძიებისა და ჩართვის შემთხვევაში. ვინაიდან კადრების მატება ვერ განხორციელდა, სამუშაოების %-ული ზრდა წინა წელთან შედარებით არ მომხდარა.